# საქართველოს რესპუბლიკა





დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 189 (5790)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

⦿ ერის გასაგონად

## როცა ასეთი დაპირისპირებაა!...



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საკვირაო წირვაზე ისაუბრა.

კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, კარგია, როცა ქვეყანაში ხალხს განსხვავებული აზრი აქვს, მაგრამ დაუშვებელია განსხვავებული აზრის მტრობასა და დაპირისპირებაში გადაყვანა.

„კატეგორიულად მოაზროვნე ადამიანი ფიქრობს და სხვას არ უსმენს, კატეგორიულად აცხადებს, რომ მხოლოდ ისაა მართალი. ეს საშიშია, განსაკუთრებით ჩვენს დროს, როცა ასეთი დაპირისპირებაა ადამიანებს შორის“, – მიმართა ილია მეორემ მრევლს.

## რა საფრთხე ემუქრება ირაკლი ოქრუაშვილს?!.

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ირაკლი ოქრუაშვილის წინასწარ ორთვიან პატიმრობაში დატოვების შესახებ მისი მხარდამჭერები აპროტესტებენ.**

როგორც პარლამენტარმა ქეთი მახარაშვილმა განაცხადა, დაცვის მხარეს ჰქონდა ძლიერი არგუმენტები და არც ერთი მათგანი მოსამართლემ არ გაითვალისწინა.

მისივე ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილის საქმე სტრასბურგის სასამართლოში აუცილებლად გასაჩივრდება.

– ულოგიკო და უნამუსო სასამართლო პროცესი, – ასე შეაფასა გუშინდელი პროცესი „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა ლევან გოგიჩაიშვილმა.

მისი თქმით, საქართველოში სასამართლო უკვე კარგა ხანია, გარდაიცვალა.






* * *

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატი ეკა ბესელია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ომარ ჯორბენაძის გადაწყვეტილებას, რომლითაც ოქრუაშვილი ორთვიან წინასწარ პატიმრობაში დარჩა, უკანონოსა და პოლიტიკურს უწოდებს.**

როგორც სააპელაციო სასამართლოში სხდომის დასრულების შემდეგ ბესელიამ ჟურნალისტებთან განაცხადა, დაცვის მხარეს ხელ-ფეხი გაეხსნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის შესატანად და პოზიციის გასამყარებლად.

როგორც ადვოკატმა განმარტა, სტრასბურგის სასამართლოსთვის საჩივრის მომზადებას აღმკვეთი ღონისძიების გაუქმების შესახებ დღეიდან დაიწყებს.

* * *

**სახელმწიფო ბრალდების მტკიცებით, პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილება ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრების შესახებ სამართლიანია.**

როგორც გენერალური პროკურატურის პროკურორმა ქეთი ჩომახაშვილმა განაცხადა, ოქრუაშვილის საქმეში პროცესუალური ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

მისივე თქმით, ბრალდების პოზიცია, რომ ოქრუაშვილის თავისუფლებაში ყოფნით მიმალვისა და მოწმეებზე ზეწოლის საფრთხე არსებობდა, დასაბუთებული და მყარი იყო.

მისივე განმარტებით, ბესელიას მიერ დაცვის უფლების დარღვევაზე საუბარი და ამ თემით სპეკულირება უსაფუძვლოა.

–ბესელიამ თავად მიატოვა ოქრუაშვილი და დაცვის გარეშე დატოვა. ამის შემდეგ ჩვენ კანონი გვავალდებულებდა, სახაზინო ადვოკატი დაგვენიშნა, – განაცხადა ჩომახაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც იქნა სწავლა დაიწყო





## ⑥ საროსკიპო დედოფლისწყაროში ⑫

## ვინ მფარველობს ⑦ სპირტის ბიზნესს?

● ოქრუაშვილმა მხოლოდ დაადასტურა ის, რაზეც მე ვლაპარაკობდი. ჟვანიას ახლობლებს დამოუკიდებელი გამოძიების იმედი უნდა ჰქონდეთ. ხოლო ეს კი უნდა გააკეთოს უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ხალხისგან შემდგარმა კომისიამ, რომელშიც ჟვანიას მეუღლე და ძმაც შევლენ



◉ პოლიტიკური ტერორია?

# ამ კაცმა დაგვაბრალა ის, რაც არის მთავარი პრინციპი ჩემი ცხოვრებისა...

## პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლიდან

მე მინდა, პირველ რიგში, გითხრათ, რომ ჩემთვის ადამიანურად ძალიან მძიმეა, რაც გააკეთა ოქრუაშვილმა, იმიტომ რომ მე შეჩვეული ვარ ყველანაირ ბრალდებებს ჩემ მიმართ, ჩემი ახლობლების მიმართ. მაგრამ ეს არის კაცი, რომელმაც ზუსტად იცის, რომ ეს ყველაფერი არის სიცრუე, განსხვავებით ბევრი იმ ადამიანისაგან, ვინც ამას ლაპარაკობდა. ამ კაცმა დაგვაბრალა ის, რაც (მან ძალიან კარგად იცის) არის მთავარი პრინციპი ჩემი ცხოვრებისა, რის წინააღმდეგაც მე ვილაშქრებ – ნათესაური, კლანური, კორუფციური გარიგებები. დაგვაბრალა ის, რაც არის ყველაზე მიუღებელი და ყველაზე ისეთი რამ, რაც არასოდეს არ გაგვიკეთებია და ვერასოდეს ვერ გავაკეთებდით და მან ეს მშვენივრად, ბრწყინვალედ და პიროვნულად იცის. ამიტომ მე მინდა, ხაზი გაუსვა, რომ არავინ არ დააბრალოს პრეზიდენტს სასამართლოზე გავლენის მოხდენა და სამართლებრივ პროცესში ჩარევა. სასამართლოს გადასაწყვეტია ყველაფერი და არავინ კუდი არ მიაბას იმას, მე რას ვაპირებ ამ სასამართლო პროცესთან მიმართებაში, კონკრეტულ ბრალდებებთან მიმართებაში. კონსტიტუციით მე არა მაქვს უფლება, ამაში ჩავერიო. მაგრამ ერთი რაღაც დაიმახსოვროს ყველამ: თუ ადამიანმა ზიანი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოს, რომელსაც ახლა ვქმნით, თუ ადამიანმა აიღო ბოლომდე თავზე ხელი სამართალთან მიმართებაში, რა ლაპარაკიც არ უნდა დაიწყოს, რა შანტაჟსაც არ უნდა მიმართოს, როგორი იმედიც არ უნდა ჰქონდეს, რომ რაღაც სრულიად მიუღებელი დაგვაბრალოს, რომ ტალახში ამოგვსვაროს, სამართალი მაინც აღსრულდება და სახელმწიფო მაინც თავის როლს შეასრულებს! მე მინდა, უბრალოდ, დავსვა კითხვა: შევარდნაძის გათახსირებულ მთავრობაში ვიყავი იუსტიციის მინისტრი, წამოვედი იქიდან, ჯიბეში მედო 100 ლარი ფული. მახსოვს, ოფისი რომ ვიქირავეთ „ნაციონალური მოძრაობის", 50-50 ლარს ვაგროვებდით ყოველთვიურად მე და ბევრი ჩემი მეგობარი, რომელიც ახლა პარლამენტში ზის. რანაირად უნდა გაეკეთებინა ვიღაცას, ჩემს მთავრობაში, ჩემი პრეზიდენტობის დროს მილიონობით ფული? ეს არის ნათელი გაკვეთილი პირადად ჩემთვის და ყველასათვის, რომ ხელშეუხებელი ადამიანები და შეუმოწმებელი ტერიტორიები არ უნდა არსებობდეს, აღარ არსებობს და არასოდეს არ იარსებებს საქართველოში. აი, ასეთი არის ჩემი მმართველობა და აი, ასეთია ჩვენი მმართველობა, კანონის უზენაესობა და ყველასთვის თავისი ადგილის მიჩენა, ვინც დაარღვევს ამ კანონს!

პრესა არის თავისუფალი, საქართველოში, განსხვავებით ყველა ადგილისა, ყველას შეუძლია ილაპარაკოს, რაც უნდა, რამდენიც უნდა, ლაფი გვასხან, მაგრამ ეს ვერ გააჩერებს და ვერ დააშანტაჟებს იმ ხალხს, ვისაც სინდისი აქვს სუფთა.

ეს არის და ეს, რისი თქმაც მინდოდა, გმადლობთ!

◉ ინფორმაცია

### ან ბრალდებები გაქარწყლდება ან პრეზიდენტს იმპიჩმენტი ემუქრება

საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია" თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ხელისუფლებისთვის წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს.

აღნიშნულ საკითხს „მემარჯვენეები" პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დააყენებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ფრაქციის წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ განუცხადა, საგამოძიებო კომისია ნათელს მოჰფენს შექმნილ სიტუაციას და მის მუშაობას, შეიძლება, მოჰყვეს მხოლოდ ორი შედეგი – პრეზიდენტის იმპიჩმენტი ან მის მიმართ წაყენებული ბრალდებების გაქარწყლება.

კაციტაძის აზრით, კომისიის შექმნა ხელს აძლევს როგორც ბრალდების, ისე ბრალდებულ მხარეებს.

დეპუტატის ვარაუდით, მათ ინიციატივაზე უმრავლესობის პასუხი შეიძლება იყოს ტრადიციული – მიმდინარეობს გამოძიება და საპარლამენტო კომისია პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებას ხელს შეუშლის.

ხელისუფლების სავარაუდო პოზიციის პასუხად კაციტაძე აცხადებს, რომ ეს ორი გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს პარალელურად და ურთიერთჩაურევლად.

### თორთლაძე მემარჯვენე ოპოზიციის ინიციატივით კმაყოფილია

პარლამენტის წევრი გია თორთლაძე მიესალმება ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" ინიციატივას, რომლის მიხედვითაც ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ხელისუფლებისთვის წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას.

– მათი ნებაა, რას მოითხოვენ. „ახალი მემარჯვენეები" პროცესებს გვერდიდან აკვირდებიან, თუმცა მათი ინიციატივის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს , – განაცხადა გია თორთლაძემ.

### დაიწყო ხელმოწერების შეგროვება

პოლიტპატიმარ ირაკლი ოქრუაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.

ამის შესახებ დეპუტატმა კოკა გუნცაძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოსთან მყოფ ჟურნლისტებს განუცხადა.

ამასთან, კოკა გუნცაძემ სააპელაციო სასამართლოში სხდომის მიმდინარეობას არნახული ფარსი უწოდა.

დეპუტატ გია ცაგარეიშვილის თქმით, სასამართლოზე პროკურატურა აბსურდებს ლაპარაკობს და ოქრუაშვილისადმი ბრალდების არც ერთი დამადასტურებელი ფაქტი არ გააჩნია.

გია თორთლაძემ კი გუშინდელ სასამართლო სხდომას ცირკის არენა უწოდა და განაცხადა, რომ მნიშვნელობა არა აქვს, სასამართლო რა გადაწყვეტილებას გამოიტანს.

### არც ერთი მინისტრის საქმიანობა არ გადამოწმდება

ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების მიმართ გამოთქმული ბრალდებების მიუხედავად, მათი საქმიანობა არ გადამოწმდება.

ამის შესახებ განცხადება გუშინ „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ გააკეთა.

მისი თქმით, ოქრუაშვილის ცრუ ბრალდებების ერთადერთი მიზანი დღევანდელი ხელისულფების დაშინება იყო.

–ეს იყო მცდარი გათვლა. მინისტრების, მათ შორის არც თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის საქმიანობა არ გადამოწმდება, – აღნიშნა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

ინტერპრესნიუსი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



*ირაკლი ოქრუაშვილის მიერ მიხეილ სააკაშვილისთვის წაყენებული ყველაზე მწვავე ბრალდება იყო ის, რომ ვითომდა პრეზიდენტმა ოქრუაშვილს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მოკვლა უბრძანა. ამის თაობაზე ბ-ნმა პატარკაციშვილმა ილაპარაკა ლონდონში 27 სექტემბერს, გვიან ღამით, თბილისში გაფრენამდე ერთი საათით ადრე და ოქრუაშვილის დაპატიმრებიდან ორი საათის შემდეგ, მოცემულ ინტერვიუში:*

# „საზოგადოება დიდი ხანი ელოდა ოქრუაშვილის გამოსვლას"

**– არ გეშინიათ თბილისში გაფრენა? ირაკლი ოქრუაშვილი ხომ თქვენს არხზე გამოვიდა.**

– რასაკვირველია, მეშინია. მაგრამ თუ არ გავფრინდები, საკუთარი თავის პატივისცემას დავკარგავ.

**– ელოდით ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებას?**

– არა, არ ველოდი.

**– გჯერათ დაჭერის ოფიციალური მიზეზი – კორუფციაში დადანაშაულება? თუ ეს მაინც პოლიტიკაა?**

– თუ იმას გავითვალისწინებთ, როგორ გაკეთდა ყველაფერი, ცხადია, პოლიტიკაა. ახლა მთავარი ოქრუაშვილი არ არის, მთავარია, თუ რას და როგორ აკეთებს ხელისუფლება.

**– ეტყობა, თბილისში ვნებათაღელვა ბობოქრობს. ხალხი თუ ქუჩაში გამოვა?**

– ალბათ, მეც ხალხთან ვიქნები.

**– შემთხვევითია ის ფაქტი, რომ ოქრუაშვილი მაინცდამაინც „იმედის" არხზე გამოვიდა?**

– აბა, სხვაგან სად უნდა გამოსულიყო? სამწუხაროდ, „იმედი" ერთადერთი ტელეარხია, რომელსაც ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. მთელი წელია, რაც ხელისუფლება „იმედს" ბოიკოტს უცხადებს. არხი ოპოზიციურ ტრიბუნად იქცა. ვფიქრობ, ეს მალე შეიცვლება, და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ხელისუფლებას არაერთხელ შევთავაზე მონაწილეობა მიეღო ჩვენს არხზე ოპოზიციასთან გამართულ დებატებში.

**– ოქრუაშვილის გამოსვლა „იმედზე" თქვენთან და „ნიუზ კორპორეიშნთან" იყო შეთანხმებული?**

– არა. ჩვენ არ ვერევით არხის მუშაობაში, სრულიად ვენდობით იქ მომუშავე პროფესიონალებს.

**– როგორი ურთიერთობა გაქვთ ოქრუაშვილთან?**

– სრულიად ნორმალური, კეთილი ურთიერთობა გვაკავშირებს, ორ-სამ თვეში ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს. ჩვენ ერთნაირი შეხედულებები გვაქვს – პირველ რიგში, ქვეყნის გაერთიანების საკითხებზე.

**– გჯერათ თუ არა იმისა, რაც ოქრუაშვილმა თქვენ შესახებ თქვა?**

– ოქრუაშვილს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა, ვფიქრობ, ამ დონის ხალხი უსაფუძვლოდ არაფერს იტყვის. მე მას ვენდობი.

**– ისიც გჯერათ, რაც პრემიერ ჟვანიას სიკვდილის შესახებ თქვა?**

– არა მგონია, რომ ასე გამოცდილ და ინფორმირებულ ადამიანს ამ უბედურებაზე სპეკულირება შეეძლოს. მისი ნათქვამი სერიოზული მსჯელობის საგანია. ოქრუაშვილმა მხოლოდ დაადასტურა ის, რაზეც მე ვლაპარაკობდი. ჟვანიას ახლობლებს დამოუკიდებელი გამოძიების იმედი უნდა ჰქონდეთ. ხოლო ეს კი უნდა გააკეთოს უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ხალხისგან შემდგარმა კომისიამ, რომელშიც ჟვანიას მეუღლე და ძმაც შევლენ.

**– როგორ გაიცანით ბატონი ოქრუაშვილი?**

– სააკაშვილმა გამაცნო ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. ერთად მესტუმრნენ რეზიდენციაში.

**– ოქრუაშვილის განცხადება რუსულ-ქართული ურთიერთობის მორიგ გამწვავებას და პრეზიდენტ სააკაშვილის გაეროში გამოსვლას დაემთხვა. შემთხვევითი დამთხვევაა?**

– ამაზე არ მიფიქრია. არა მგონია, რომ ერთი მეორესთან არის დაკავშირებული. საზოგადოება დიდი ხანი ელოდა ოქრუაშვილის გამოსვლას.

**– ხალხი მას მხარს უჭერს?**

– ამ დღეების პრესის მიხედვით და რასაც მე ვუყურებ, მოსახლეობის ნაწილი უჭერს მხარს.

**– მოსახლეობის რომელ ნაწილს ეკუთვნით თქვენ, როგორია თქვენი პოზიცია?**

– ამ კითხვაზე პასუხი ძალზე მეადვილება! თქვენ წინაშეა ადამიანი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ერთადერთ დამოუკიდებელ ტელეარხს, რომელიც მისაწვდომია სხვადასხვა, დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულების მქონე ხალხისთვის.

ეს გახლავთ ჩემი პოზიცია.

Коммерсантъ

№ 189. სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

● რაც შეეხება გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას შესახებ ინფორმაციას, საბურთალოზე მდებარე ბინაში მისი გვამი გადაიტანესო, ოქრუაშვილის თქმით, ეს იმ შეხვედრებიდან იცის, რომლებსაც ამ ფაქტის შემდეგ ესწრებოდა




◉ პოზიცია

# სამი დღე, საქართველო რომ შექრა!..

„მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნვლად მონობისა“

**ეს ლექსი, რომელიც ამ წერილს ეპიგრაფად შევურჩიე, დიდმა ილიამ XIX საუკუნეში იტალიის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას და ამ ბრძოლის უპირველეს გმირს, ჯუზეპე გარიბალდის მიუძღვნა და იქვე ინატრა „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულშიო“. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ის „ტკბილი ხმები“ ჩვენს მამულშიც გაისმა და არაერთგზის, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მივიყვანეთ დაწყებული საქმე ბოლომდე.**

ჯერ იყო და უღღეურმა მენშევიკებმა ისტორიული, გლობალური კატაკლიზმების გამო, ხონჩით მირთმეული თავისუფლება ვერ შეინარჩუნეს. რასაც შედეგად ლამის საუკუნოვანი, 70-წლიანი უღმერთობის წითელი კოშმარი მოჰყვა. მერე იყო და, კვლავ ისტორიული, ჩვენგან დამოუკიდებელი, ობიექტური კანონზომიერების გამო, რასაც სსრკ წითელი იმპერიის დანგრევა ჰქვია, ასევე ხონჩით, ანუ თითქმის უბრძოლველად მივიღეთ დამოუკიდებლობა, რისთვისაც ამჯერად ეროვნული მთავრობა არ აღმოჩნდა მზად. პირველი და, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ერთადერთი ეროვნული, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დავამხეთ. დაიწყო, თუმცა უფრო უპრიანია ვთქვათ, გაგრძელდა (თუ ედუარდ შევარდნაძის ცეკას მდივნობას გავიხსენებთძ შევარდნაძის ზეობის ხანა, რომელსაც ბრეჟნევის ე. წ. „უძრაობას“ ვუწოდებდი.



ანუ, მთელი 10 წელიწადი არაფერი ხდებოდა. კი, ბატონო! გავხდით გაეროს, ევროსაბჭოს წევრი. ჩვენი დამოუკიდებლობა დე იურე მთელმა მსოფლიომ აღიარა, მაგრამ შიგნით, სახელმწიფოს, რომელსაც პრაქტიკულად არ ჰქონდა ბიუჯეტი, მართლაც „Залотой“-ვით, ყველაფერი თვითდინებაზე იყო მიშვებული. დღევანდელივით მდიდრდებოდა ერთი მუჭა ბიუროკრატია, ხოლო მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, რომ იტყვიან, სული კბილით ეჭირა და თვიდან თვემდე რის ვაივაგლახით გაჰქონდა თავი. თუმცა არა! „დღევანდელივით“, არა მგონია, მთლად მართებული იყოს ეს სიტყვა, რადგანაც მაშინ უბრალო ხალხს „ამათსავით“ არ უშლიდნენ ხელს ლუკმაპურის შოვნაში, ანუ იმდენი ნამუსი ჰქონდათ, რომ გარე თუ შიგა ვაჭრობას, რაც პრაქტიკულად ერთადერთი საშუალება იყო თავის რჩენისა, არ ერჩოდნენ.

ალბათ ისიც, რაც ზემოთ ვთქვი – 10 წელიწადი არაფერი ხდებოდა-მეთქი, მთლად ასე არ იყო საქმე. ხდებოდა, როგორ არა. გიორგად მონათლული ამხანაგი შევარდნაძე და მისი „მოქკავშირი“, ანუ ყოფილი პარტიულ-კომკავშირული ნომენკლატურა, რომელთა გახელისუფლება, წითლების რესტავრაციარევანში იყო და სხვა არაფერი, მთელი ის პერიოდი, რომ იტყვიან, კბილებით ებღაუჭებოდა ძალაუფლებას და ამისთვის ყველაფერზე იყვნენ წამსვლელები. ამ „ყველაფერზე წამსვლელობას შეეწირა სოხუმი და ცხინვალი.

და აი, სწორედ ამ დროს დამყაყებულ ჭაობში, რომელსაც საქართველო ერქვა, გაისმა ჯერ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხმა და თეა თუთბერიძის კნავილი „კმარა“, რასაც მოკლე დროში ომახიანი „მი-შა! მი-შა!“ მოჰყვა. და ეს ჩვენ, რიგითმა ქართველებმა გავაკეთეთ, რადგან გულუბრყვილოდ დავიჯერეთ, რომ ილიას ნატვრა „ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულშიო“, როგორც იქნა, აგვიხდა: არიქა, ჩქარა! მიშა გვიშველის თუ გვიშველის! ჰოდა, გავაფეტიშეთ, კერპად გავიხადეთ, ლამის მესიად შევრაცხეთ.

ხშირად გამიგონია, განსაკუთრებით მათგან, ვინც 2002-2003 წლებში პასიური, ანუ უსაფრთხო დამკვირვებლის პოზა აირჩია. რაც ხშირ შემთხვევაში სიმხდალე ან, რუსები რომ იტყვიან, „Моя хата с краю“ იყო, რასაც საკუთარ შეუმცდარ სიბრძნედ წარმოგვიჩენენ, რომ ქართველებს ბელადომანია გვჭირს. თანაც ამ „ქართველებს“ისე ნიშნისმოგებით გვამუნათებენ, თითქოს გვემიჯნებიან, თავად არ არიან ქართველები.

ამაში სიმართლეც არის და სიცრუეც, სიმართლე ის არის, რომ საუკუნეების განმავლობაში, ჩვენში, როგორც ერში, გენეტიკურად ჩაიდო ე. წ. კარგი და ცუდი მეფის განცდა. და ეს სულაც არ არის რუსული – „Барин приедет, он рассудит.“ ჩვენმა ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის, უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებების დროს, კარგი მეფეების კარგი თავგანწირვა-თავდადებისა, ზვარაკად შეწირვისა, როცა ამას შექმნილი გარემოება ითხოვდა. ჩვენი შეცდომა ის არის, რომ ნაცმოძრაობაში ვეძებთ, მათნაირებისგან ველოდებით კარგ მეფობას. ის გვავიწყდებოდა, რომ „ეგენი“ მირონცხებული ბაგრატიონები არ არიან. „გვავიწყდებოდა“-მეთქი წარსულ დროში იმად ვამბობ, რომ დღეს საზოგადოება, მგონი, მყარად მივიდა დასკვნამდე: საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტმა აღარ უნდა იარსებოს.

ვატყობ, ძალიან გამიგრძელდა სიტყვა და მთავარი სათქმელი, რისთვისაც ეს წერილი იწერება, ჯერ არ მითქვამს. ეს არცთუ მცირე ისტორიული ექსკურსი, სწორედ მთავარის სათქმელად დამჭირდა. უფრო სწორედ, იმ კითხვებს, რომლებიც უკანასკნელი მძაფრი მოვლენების გამო გამიჩნდა მე და, ვიმედოვნებ, საზოგადოებასაც, მინდა ვცადო, ჩემი სამრეკლოდან ვუპასუხო იმის იმედად, რომ მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება „ჩემი სამრეკლოს ზარი“.

**დავით მხეიძე**

**(გაგრძელება იქნებაძ**




◉ განცხადება

**ირაკლი ოქრუაშვილმა შეთავაზება, დაეკავებინა პრემიერ-მინისტრის პოსტი, არ მიიღო. ამის შესახებ ოქრუაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დროებაში“ გასულ სიუჟეტში აღნიშნა.**

– ერთადერთი შემოთავაზება, რაც ამ პოსტზე მივიღე, ივნისის თვეში იყო, როდესაც ნოლაიდელი ავად იყო. ეს შემოთავაზება სათავეშივე მოვკალი, რადგან, თავისთავად, ამორალური იყო, – განაცხადა ოქრუაშვილმა და დასძინა, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე მისი დანიშვნა მერაბიშვილის, ბოკერიასა და ლომაიას გავლენის გაძლიერებას უნდა მომსახურებოდა. მისივე თქმით, ეს მისთვის პირადად პრეზიდენტს არ შეუთავაზებია.

რაც შეეხება გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას შესახებ ინფორმაციას, საბურთალოზე მდებარე ბინაში მისი გვამი გადაიტანესო, ოქრუაშვილის თქმით, ეს იმ შეხვედრებიდან იცის, რომლებსაც ამ ფაქტის შემდეგ ესწრებოდა. მისივე განცხადებით, მისთვის უცნობია, ვის ინტერესებში შედიოდა ეს.

## ირაკლი ოქრუაშვილი:

## პრემიერ-მინისტრად ჩემი წასვლა ამორალური იყო

ოქრუაშვილი ინტერვიუში აცხადებს, რომ მას პრეზიდენტმა სააკაშვილმა არაბთა ჯგუფის კოორდინატორობა შესთავაზა, რაზეც უარი განაცხადა.

– ამით მოქრთამვას მიპირებდა, თუ რა იყო, ვერ გავიგე. მე ვუთხარი, შენ პრეზიდენტი უნდა გერქვას, მერაბიშვილს – მინისტრი და მე კოორდინატორი-მეთქი? – აღნიშნა ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა.

ინტერვიუში ოქრუაშვილი აღნიშნავდა, რომ მისი დაკავების გადაწყვეტილება პრეზიდენტმა უნდა მიიღოს.

– ამ გადაწყვეტილებას მიიღებს მაშინ, როდესაც ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხე შეექმნება და მე მას ამ საფრთხეს შევუქმნი, – აღნიშნავს იგი.

ოქრუაშვილის აზრით, სააკაშვილი სასაცილო მდგომარეობაშია და ხელისუფლების ტაქტიკა მისი პრორუსულ პოლიტიკოსად გამოყვანა იქნება.

მისივე განცხადებით, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე იგი ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩსაც.

– მე ვუთხარი ამერიკის ელჩს, რომ ხელისუფლების მხრიდან ბევრი მიმართულებით არის ფაშისტური ტენდენციები. ეს შეეხება ჩემს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. მხოლოდ მიხეილ ქარელსა ან გორის გამგებელზე არ არის საუბარი. დაახლოებით 16 კაცია დაჭერილი. ვინც მეტ-ნაკლებად ღირებულია ჩემთვის, ყველას იბარებენ და სთხოვენ, რამე დაწერონ ოქრუაშვილზე, – განაცხადა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

იგი აქცენტს ბიზნესმენების დაშინებისა და ბიზნესის შეჩერებაში ხელისუფლებას ადანაშაულებს.

– თუკი სადმე რაიმე კომპანია არსებობდა, რომლის თუნდაც სულ მცირე წილის მფლობელთან რაიმე შეხება მქონია ან ადვოკატობის დროს, ან შემდეგ, ყველა ის კომპანია პარალიზებული და დალუქულია. ამით უგზავნიან მესიჯს სხვა ბიზნესებსაც, თუ როდესმე გადაწყვეტენ, რომ ოპოზიციას ლეგალური ფული მისცენ, ისინიც იმავე ბედს გაიზიარებენ, – აცხადებს ოქრუაშვილი.

ოქრუაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმა უნდა გატარდეს. – ის ინსტიტუტები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაკნინდა, უნდა აღდგეს. ეს არის პარლამენტი, სასამართლო. უნდა დავბრუნდეთ იმავე პოლიტიკური ბალანსის ფორმატში, რომელიც 2003 წელს იყო. ხალხის დაკვეთა არ ყოფილა, რომ გაზულუქებული ბენდუქიძე ყოფილიყო მინისტრი ან ბოკერია – ქართველი ხალხის სახე. ქვეყანაში მუშაობს ერთადერთი ინსტიტუტი, ეს არის პრეზიდენტი, როგორც იტყვის სააკაშვილი, ყველაფერი ისე იქნება. მომატებული ხელისუფლება რყვნის ადამიანს და ამის შედეგები მე ჩემს თავზეც გამომიცდია, – აღნიშნა ოქრუაშვილმა.

მისივე განცხადებით, ამჟამად მისი ფინანსური მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, თუმცა პოლიტიკური საქმიანობისთვის თანხების გამოძებნის იმედი აქვს.

– ის ფუფუნება, რაც 2002 ან 2004 წლებში მქონდა, აღარ მაქვს, მაგრამ პოლიტიკური აქტივობისთვის საჭირო თანხების მოძებნა არ გამიჭირდება. რევოლუციის დროს საკმაოდ ბევრი წყარო აძლევდა ფულს „ნაციონალურ მოძრაობას“, რომლებთან ურთიერთობა მეც მქონდა. რა თქმა უნდა, ამას გამოვიყენებ, თუმცა ეს საკმაოდ მძიმე პროცესი იქნება, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

ოქრუაშვილის ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა ადგილობრივი არჩევნების წინ „ნაციონალურ მოძრაობას“ 4 მილონ დოლარამდე არალეგალური თანხა შეუგროვა.

– შარშან, ადგოლობრივი არჩევნების დროს კეზერაშვილმა, დაახლოებით, 4 მილიონი დოლარი შავი ფული მოაგროვა. 10-15 ათასობით შეწერილი ფული, რომლებსაც, თუნდაც, პატარ-პატარა ბიზნესებს აწერდა, – აღნიშნა ოქრუაშვილმა.

მისივე აზრით, შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს პრეზიდენტი მაშინვე მოიშორებს, როგორც კი საფრთხეს იგრძნობს.

– მერაბიშვილი სააკაშვილზე ჩამოკიდებული მონაა. იგი არანაირი პოლიტიკური ფიგურა არ არის და მისი კარიერა დამთავრდება მაშინვე, როგორც კი სააკაშვილი წავა, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

№ 189. სამშაბათი. 2 ოქტომბერი. 2007 წელი.

● საზოგადოებრიობას სჯერა მისი, რადგან ხელისუფლების წევრი იყო და მთელი საიდუმლოება იცოდა. ხელისუფლება თუ არ დაამტკიცებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ცრუობს, ეს ნიშნავს, რომ ის სიმართლეს ამბობს



◎ პოზიცია

# ოპერაცია შსს-ს უნდა განეხორციელებინა და არა თავდაცვის სამინისტროს

## ოქრუაშვილი საქართველოს ხელისუფლების ნების გარეშე ცხინვალზე საქართველოს დროშას ვერ ააფრიალებდა

***ირაკლი ოქრუაშვილმა ცნობილ გამოსვლაში ისიც თქვა, ერთ-ერთი განდგომილი რეგიონის შემოერთების ნაღდი გეგმა ხელისუფლების, უშუალოდ პრეზიდენტის უნიათობის გამო ჩაიშალაო. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ცხინვალის რეგიონი იგულისხმა. ნამდვილად იყო ასეთი გეგმა? თუ იყო, ვინ და რატომ ჩაშალა იგი? რატომ ვერ ვიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს? ვკითხეთ პოლიტოლოგს საქართველოს თავდაცვის საკითხებში მამუკა არეშიძეს.***

– დაახლოებით ვიცი, 2005 წელს როგორი გეგმა ჰქონდა ხელისუფლებას და რატომ თქვა ირაკლი ოქრუაშვილმა, მცირე სამხედრო ოპერაციით ვაპირებდიო ამის გაკეთებასო, ალბათ, იმიტომ, რომ ეს გეგმაში არ იყო. ის, რომ არმია უნდა გაეძლიერებინა და მაქსიმალურად მოეყვანა საბრძოლო მდგომარეობაში, ცხადია მაგრამ ეს უფრო ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად გამოყენებისთვის. ვიცი, რომ გეგმა დაახლოებით ასეთი იყო: შსს, და არა თავდაცვის სამინისტროს, უნდა ჩაეტარებინა კრიმინალებისა და იმ ადამიანების დაკავების ოპერაცია, ვისაც ქართველების სისხლში ჰქონდათ გასვრილი ხელები და ზოგ სტრუქტურაში იყვნენ მოკალათებულნი. ეს უნდა მომხდარიყო ცხინვალის გარშემო სოფლებში და იმ რეგიონებში, რომლებსაც ქართული მხარე ვერ აკონტროლებს, მაგრამ მოშორებულია ცხინვალს, ანუ იქ უნდა ემოქმედათ, სადაც უფრო ძლიერია ქართული გავლენა. უპირველესად ახალგორის რამდენიმე სოფელში. ამით ცხინვალი ალყაში მოექცეოდა დე ფაქტო ხელისუფლებაზე ზეწოლის საშუალებას იძლეოდა. ასე რომ, ცხინვალში შეჭრას არავინ აპირებდა. აი, ასეთი გეგმა იყო. რამდენად მოყვებოდა ამას ედუარდ კოკოითის გაქცევა, ეს სხვა საკითხია.

ეს გეგმა მთლიანობაში წარმატებულ შედეგზე იყო ორიენტირებული. ჩემთვის უცნობია რატომ, მაგრამ იგი ჩაიშალა.

ჩემი ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილს 2006 წლის გაზაფხულზე ჰქონდა გეგმა, რის მიხედვითაც ცხინვალის რკალში მოქცევის ოპერაცია მას და საქართველოს ხელისუფლებას უნდა განეხორციელებინათ. მისი განცხადება, 2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში შევხვდებით, განპირობებული იყო იმით, რომ ხელისუფლებამ ამ გეგმიდან გადაუხვია და სხვა გზით წავიდა. ელემენტარული „პიარ აგდება" იყო. ეს მხოლოდ საზოგადოებრიობის გასაგონად კი არ იყო ნათქვამი, არამედ ხელისუფლების გასაგონადაც, თუ თქვენ არ შეასრულებთ იმ გეგმას, რომელზედაც მოვილაპარაკეთ, ამას მარტო გავაკეთებო. 2007 წლის 1 იანვარს ის შეიძლება ფიზიკურად კი ყოფილიყო ცხინვალში, ქალაქის თავზე ქართულ დროშას ვერ ააფრიალებდა, თუ ამას საქართველოს ხელისუფლება არ მოინდომებდა. ირაკლი ოქრუაშვილმა შეიტყო, რომ ხელისუფლება ამას არ აპირებდა და ამიტომ განაცხადა ეს.

**– როგორ ფიქრობთ, ირაკლი ოქრუაშვილი კიდევ გაამხელს საიდუმლოს, და ამას რა პროცესები მოჰყვება?**

– რა თქმა უნდა. ის ძალზე კომპეტენტურია იმაში, რაც იმ პერიოდის საქართველოს ხელისუფლებაში ხდებოდა. ინფორმირებულია არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით, არამედ სამართლებრივი და, ესეც მთავარია, ბიზნესის კუთხით. ამიტომ მას შეუძლია ახალ-ახალი საიდუმლო გაამჟღავნოს და საზოგადოებრიობა ყოველთვის დაძაბული ჰყავდეს. მისი შეკავება ახლა ძალზე ძნელია, რადგან ამისთვის ის უნდა მოკლან. მის კორუმპირებულობაზე ლაპარაკი ამჯერად აღარ გაამართლებს. ასე რომ, კორუფციაში ჩართული ჩინოვნიკების ქმედების კომპრომატების წარმოდგენა არც ერთი მხრიდან შედეგს არ მოიტანს. ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ხელის შეშლაზე, ადამიანთა სიცოცხლის შეკვეთით ხელყოფასა და ა.შ. თუ ირაკლი ოქრუაშვილი ტყუის, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა ახსნან ეს ფაქტები. საზოგადოებრიობას სჯერა მისი, რადგან ხელისუფლების წევრი იყო და მთელი საიდუმლოება იცოდა. ხელისუფლება თუ არ დაამტკიცებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ცრუობს, ეს ნიშნავს, რომ ის სიმართლეს ამბობს.

**– კონფლიქტურ რეგიონებში ხშირია იარაღის გამოყენება. საქართველოს ხელისუფლება როგორ უნდა მოიქცეს, საპასუხო ცეცხლი გახსნას?**

– ეს დაუსრულებელი პროცესია. საქართველოს ხელისუფლება უნდა ხედავდეს, რომ ცხინვალის დე ფაქტო მთავრობა ყველანაირად ცდილობს, სამხედრო კონფლიქტში ჩაგვითრიოს. ვინ გახსნა ცეცხლი, ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. საქართველოს ხელისუფლების მთავარი ნაკლია ის, რომ რაღაც გეგმას იგონებს, მერე მის განხორციელებას ცდილობს, მაგრამ ხშირად შუა გზაში აჩერებს. ამის ყველაზე კარგი მაგალითია მოძრაობა „კოკოითი ფანდარასტი". ბოლო ხანს გსმენიათ რაიმე ამის თაობაზე? არაფერი. თუ რამეს აკეთებ, ბოლომდე უნდა მიიყვანო, იმიტომ რომ ასეთი გეგმის შეჩერებით მოწინააღმდეგეს საკუთარი ძალების რწმენას აძლევ, უამრავ ხალხს დარტყმის ქვეშ აყენებ და საკუთარი შეცდომების დემონსტრირებას ახდენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ასეთ პროცესებს უძღვებიან და ასეთ გეგმებზე ძირითადად დილეტანტები მუშაობენ. პროფესიონალებს კი აზრს არავინ ეკითხება. ამიტომ შედეგად შეწყვეტილ პროცესებს ვიღებთ...

ესაუბრა
**მაია ხორგუაშვილი**

◎ გვეხმაურებიან

# მწერალიც ხომ მოზარდი არ არის, პრეზიდენტის მიერ მინიშნებულ ბუჩქებში შეიყუჟოს?!

## შეხმიანება ხმალამოწვდილ ვახტანგ ხარჩილავას

***დიდი ხნის წინათ შესანიშნავი თავანკარა ლექსებით რომ წარუდგა მკითხველებს, ის დრო კარგად მახსოვს. მეც აღტაცებული ვიყავი იმ ჭეშმარიტი პოეზიით. მერე პუბლიცისტიკას რომ მოჰკიდა ხელი, ეს უკვე უჟამო ჟამმა, ქვეყნის ავბედითობამ გააავა შემოქმედის კალამი და სხვებთან ერთად მეც მესალბუნა.***

***ვახტანგ ხარჩილავაზე მოგახსენებთ, შესანიშნავ პოეტსა და მოქალაქეზე, დიდი ხანია მის მიმართ ჩემი სიმპათიის გამხელა მწადდა. ეს პირადადაც შემეძლო მეთქვა – ჩვენ ხომ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს მაინც გაზეთის ფურცლებიდან გამხელა ვამჯობინე და აი, რატომ...***

საქართველოში ალბათ ათასზე მეტი მწერალ-კალმოსანია დღეს. მარტო მწერალთა კავშირის წევრთა რიცხვი აჭარბებს ოთხ ასეულს. ერთი იმდენი გაწევრების მომლოდინეცაა, ის მწერლები, დიდი მამულიშვილისა და მეცენატის ნაჩუქარი სახლიდან ასე უმოწყალოდ რომ გამოყარეს. დანარჩენი მის გარეთაც იყვნენ. და არიან ახლა ყველანი რაღაც უხერხულად შეურაცხყოფილნი. არც – ცაში, არც – მიწაზე, ფაქტობრივად – ჰაერში. ეს იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი მწერალს თავის სულიერ წინამძღოლად მიიჩნევდა ოდითგან. მარტო ილიას, აკაკის, ვაჟას დროს კი არა, 70-წლიანი კომუნისტური ისტორიის მანძილზე მწერალთან შეხვედრა ხომ დიდი ზეიმი იყო. კომუნისტებს, იმ წითელთავა ეშმაკუნებსაც ჰქონდათ რაღაცნაირი რიდი თუ შიში შემოქმედის სიტყვისა.



თუნდაც რუსთავი ავიღოთ, ქართული ინდუსტრიის საუფლო. აქ რომ დიდი გალაკტიონი, გოგლა, კონსტანტინე, თითქმის უკლებლივ ყველა, არა მარტო მაშინდელი საყოველთაოდ აღიარებული მწერლები, საშუალოდ მიჩნეულნიც კი ჩამოდიოდნენ, მათთან შესახვედრად ზღვა ხალხი იყრიდა თავს. იმ დღეებში სიჭაბუკის ქალაქად წოდებული ახალგაზრდა რუსთავი გაბრწყინდებოდა და გალაღდებოდა. მწერლები მარტო ჩამოსვლას როდი კმარობდნენ. მათი სტრიქონებიდან სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის ნაღვერდლები იფრქვეოდა. მამულის ტრფიალით, წინაპართა დიდების ცეცხლით აღაგზნებდნენ ადამიანთა გულებს. ხალხიც კარგად ხედავდა განსხვავებას ურაპატრიოტიზმსა და სამშობლოსადმი ჭეშმარიტ ტრფობას შორის.

მარტო მუხრანი რად ღირს. ის რუსთავის ხშირი სტუმარი იყო, ხოლო მის შემართულ, ორლესულივით მძაფრ ლექსებს, როგორც თბილისში და მთლიანად საქართველოში, ისე რუსთავშიც ხელნაწერებში კითხულობდნენ და განა მარტო კითხულობდნენ, ზეპირად სწავლობდნენ, გულით ატარებდნენ.

მწერალთა მრავალრიცხოვნების მოხმობა თუ რად დამჭირდა, აგიხსნით. იმ ათასიდან თუნდაც მესამედს, თუნდაც ას მწერალს ქვეყნისათვის ამ უმძიმესზე უმძიმეს ჟამს, როდესაც უმუშევრობამ წალეკა ყველაფერი, როდესაც ქართველები საქართველოდან გარბიან უცხოქვეყნელთა მონებად, როდესაც ქართველ კაცს აჰყარეს ღირსება, ქართველ დედას შეულახეს ყოველივე წმინდა და შვილების გაჩენისა და აღზრდის გზები გადაუკეტეს, როდესაც მათხოვრების რიცხვმა ლამის დასაქმებულთა რაოდენობას გადააჭარბა, დაცარიელდა სოფლები, გლეხკაცს კი მიწისაკენ გახედვა შეაზარეს, რაღა ვთქვა, რამდენი უბედურება არ დაგვატეხეს თავს, და ამ დროს მწერლები კი დუმან, სადღაც მიიყუჟნენ, თითქოს აღარც არიანო, ეს წარმოუდგენელი რამაა.

იმის თქმა მინდოდა, რომ იმ მწერალთაგან ოთხასს, თუნდაც ნაკლებს, იმ უბედურების ჟამს ბატონ ვახტანგივით რომ გაეშიშვლებინა მახვილი, ხმა ამოეღო უსამართლობის წინააღმდეგ, შებრძოლებოდა ყველაფერს მახინჯს, რაც მათი სამშობლოს კეთილდღეობას უღობავს გზას, უეჭველია, უკანონობა ასე ველარ იპარპაშებდა.

იხ. 6 გვ.

№ 189. სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

# წარსულის ფურცლები

საქართველომ, ისევე როგორც 1918 წელს, 1920 წელს კიდევ ერთხელ გაუშვა ხელიდან რეალური შანსი ზაქათალის ოლქის დასაუფლებლად

ისტორია

# „საქართველო უარს ამბობს ზაქათალის ოლქზე“,

## ანუ საინგილოს საკითხი ქართულ-აზერბაიჯანულ დიპლომატიაში

მაისის ბოლოს საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ აზერბაიჯანის სასაზღვრო ქალაქ ალსტაფაში დაიწყო მოლაპარაკება აზერბაიჯანის სსრ-ს წარმომადგენლებთან საზავო შეთანხმების შესამუშავებლად. როგორც საქართველოს დელეგაციის წევრი შ.ვადაჭკორია წერდა იმდროინდელ პრესაში, „ჩვენი წინადადებით, განსახილველი საკითხები დაყოფილი იყვნენ შემდეგნაირად: ტერიტორიალური, სამხედრო და ეკონომიკური... ტერიტორიალური და საზღვრების გადაჭრის საკითხი კონფერენციის მუშაობის ის უმთავრესი საგანი იყო, რომელმაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. აზერბაიჯანის დელეგაცია ეყრდნობოდა ძველ საზღვრებს, რომელიც არსებობდა ჩვენსა და აზერბაიჯანს შორის 27 აპრილამდე (გასაბჭოებამდე – **ს. კ.**). ჩვენს დელეგაციას ჰქონდა განსაკუთრებული დირექტივები, რომელიც ამ საკითხის გადაჭრისას ეყრდნობოდა მხარის ეთნოგრაფიულ, ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას. ჩვენ ვამბობდით, რომ 27 აპრილამდე არსებული საზღვარი ანომალობა იყო. კამათი რამდენიმე საათს გაგრძელდა“.

**სამწუხაროდ, საქართველოს დელეგაციამ ვერ შეძლო აზერბაიჯანის სსრ-სთან თავისი პოზიციის გატარება. რამდენიმედღიანი მოლაპარაკება 12 ივნისს ისეთი ხელშეკრულების დადებით დასრულდა, რომლის ტექსტის ჩვენთვის საინტერესო მუხლები თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა მოსკოვურისაგან.** ალსტაფაში ხელმოწერილი დოკუმენტის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) სხდომაზე უნდა მომხდარიყო. მისი განხილვა 25 ივნისს დაიწყო. სოციალ-დემოკრატთა ფრაქციამ ტექსტი მთლიანად მოიწონა, ეროვნულ-დემოკრატები კი წინააღმდეგნი იყვნენ: „ასეთ პირობებში უკეთესი ხელშეკრულების დადება შეიძლებოდა... დავა საზღვრების შესახებ იგივე რჩება. გამოვთქვამ უკმაყოფილებას, რადგან ამ ხელშეკრულებით საქართველოს საზღვრები დაცული არ არის“, – განაცხადა ეროვნულ-დემოკრატმა ალექსანდრე ასათიანმა. სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის წევრის სამსონ ფირცხალავას თქმით, „წარმოდგენილი ხელშეკრულების დიდი ნაკლია მეხუთე მუხლი ზაქათალის ოლქის შესახებ, ის ზუსტად ემყარება მოსკოვის ხელშეკრულებას, რომელიც დამფუძნებელ კრებას ჯერ არ დაუმტკიცებია. ეს დიდი შეცდომაა“. იმ ავბედითი მეხუთე მუხლის გამო ზოგიერთმა დეპუტატმა (მაგალითად, გრიგოლ ვეშაპელმა) კენჭისყრაში საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა.

მძიმე სიტუაციის განმუხტვა აკაკი ჩხენკელმა სცადა და განაცხადა: „...**რაც შეეხება ზაქათალის ოლქს, ის, მოგეხსენებათ, თბილისის გუბერნიაში არ შემოდიოდა. რასაკვირველია, ეს იყო უსამართლო მოვლენა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და ამისათვის ანგარიში უნდა გაგვეწია. დღეს კი იურიდიულად ოლქი შეიქნა საქართველოს ტერიტორიად და თუ დავა იქნება, ის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება“** (იხ. გაზეთი „ერთობა“, 1 ივლისი, 1920 წელი). ცხადია, აკაკი ჩხენკელმა კარგად უწყოდა, რომ „დავა ჩვენს სასარგებლოდ“ არ გადაწყდებოდა, მაგრამ მმართველმა პარტია ცდილობდა ვითარება ნორმალურად წარმოეჩინა, პარლამენტის ოპოზიციონერი წევრები დაეწყნარებინა და საზოგადოების წინაშე თავიც ემართლებინა. საბოლოოდ, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, უმრავლესობამ თავისი გაიტანა და ხმების უმეტესობით ხელშეკრულების რატიფიცირება მაინც მოხდა. ქართულ ოპოზიციურ პარტიულ პრესაში კი მთავრობის კრიტიკა მატულობს, გაისმის ხმები, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პოლიტიკურად უკან დაიხია და „სირცხვილი მას“.

შეიძლებოდა თუ არა ამგვარი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხული მდგომარეობის თავიდან აცილება? გვქონდა წარმატების შანსი საბრძოლო შეტევის შემთხვევაში? მოდით, გავაანალიზოთ სიტუაცია: მკითხველს გავახსენებთ, რომ მე-11 არმიის სარდალ ლევანდოვსკის ბრძანების თანახმად, რუსების სამხედრო ნაწილებს ზაქათალა სამი მაისისათვის უნდა დაეკავებინათ. საქართველოს დაზვერვამ ისიც იცოდა, რომ წითლების შესვლამდე ქალაქში მუსავატური არმიის მხოლოდ ერთი პოლკი იდგა. ახლა წარმოვიდგინოთ: 27 აპრილს ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, პარლამენტი და მთავრობა გადადგა, თბილისში ეს ფაქტი იმ დღესვე გახდა ცნობილი. განა ვერ მოხერხდებოდა ზაქათალას დაკავება ქართული არმიის მიერ? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მოხერხდებოდა, რადგან ლაგოდეხში (სიღნაღის მაზრაში) დისლოცირებული საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობა (გენერალ სუმბათაშვილის მე-2 ქვეითი დივიზია – 5900 ჯარისკაცი, 61 ტყვიამფრქვევი, 8 ქვემეხი, 600 კავალერისტი) სავსებით საკმარისი იყო საინგილოს გასაკონტროლებლად. რაც შეეხება ადგილობრივ აზერბაიჯანულ გარნიზონს, გასაგები მიზეზების გამო, ის წინააღმდეგობას არ გასწევდა, მოსახლეობაც ჩვენ მოგვემხრობოდა, მოსკოვში კი საბჭოთა მთავრობა ფაქტის წინაშე დადგებოდა და ჰუსეინოვიც ვერაფერს გააწყობდა.

დიახ, მართლაც შესაფერისი მომენტი იყო დავხმარებოდით ერთი მხრივ – ჩვენს თანამემამულეებს და მეორე მხრივ – აზერბაიჯანელ მოსახლეობას, რომ არა ერთი უსიამოვნო ინციდენტი: ამბოხება ქართული არმიის ლაგოდეხის გარნიზონში. მოვლენები ასე განვითარდა: **როგორც გენერალი გიორგი კვინიტაძე იხსენებს, მეორე ქვეითი დივიზიის მე-6 პოლკი, რომელიც ლაგოდეხში იყო დისლოცირებული, ზაქათალის მიმართულებას იცავდა და საჭიროების შემთხვევაში მას საზღვარიც უნდა გადაელახა. პოლკში უმეტესად კახელი ჯარისკაცები მსახურობდნენ, კახელებს კი ლეზგინებისადმი (ლეკებისადმი) უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ და ამიტომაც მზად იყვნენ ზაქათალაში შესვლისათვის. „ჩვენ მაისის დასაწყისში ვერ მოვასწარით ჯარების სრული მობილიზება, მერე კი მოსკოვში მოლაპარაკება დაიწყო, ამასობაში კი ბოლშევიკები ზაქათალაში შევიდნენ. კახელების თვალში ლეკები ისტორიული მტრები იყვნენ, ამიტომაც ქართველი ჯარისკაცები დაჟინებით მოითხოვდნენ ოლქში შეჭრას. არადა, ჩვენი ჯარების გამოჩენა ომის გაგრძელებას უდრიდა. ეს არ ესმოდათ კახელებს და ამის ნიადაგზე მეთაურებისადმი მათი უკმაყოფილება გაიზარდა, რამაც ნოყიერი ნიადაგი მოამზადა პოლკში შენიღბული ბოლშევიკების ამოქმედებისათვის“, –** წერს კვინიტაძე თავის მემუარებში. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **ამბოხებულმა ჯარისკაცებმა მეთაურები დააპატიმრეს. მთავრობამ სასწრაფო გადაისროლა დამატებითი ძალები ლაგოდეხში, ამბოხება მშვიდობიანად ჩააქრო, თუმცა ბოლშევიკი ჯარისკაცები დაიჭირეს და მათგან 9, საველე სასამართლოს განაჩენით, დახვრიტეს. სამწუხაროდ, მოგვიანებით ეს ფაქტი საქართველოს წინააღმდეგ კარგად გამოიყენა კომუნისტურმა პროპაგანდამ და საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, რომელშიც დამოუკიდებელ საქართველოში მომხდარი მოვლენები მთლიანად შავ ფერებშია წარმოდგენილი.**

მოკლედ, ამით იმის თქმა გვსურს, რომ საქართველომ, ისევე როგორც 1918 წელს, 1920 წელს კიდევ ერთხელ გაუშვა ხელიდან რეალური შანსი ზაქათალის ოლქის დასაუფლებლად.

---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 184-188.**



ბელაქანი. ლიცეუმის შენობა.

## სასაზღვრო ინციდენტები: ბოლშევიკთა ტყუილ-მართალი

ახლა ვნახოთ, როგორი ვითარებაა უშუალოდ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ლაგოდეხ-ბელაქანის სექტორში და თვით ზაქათალაში. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება დადებულია, არსებობს ლევანდოვსკის ბრძანებაც წითელი არმიის ნაწილებისადმი შეტაკებების თავიდან აცილების შესახებ, საზღვარზე ინციდენტები მაინც ხდება. გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულია სამხედრო სამინისტროს ცნობა, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: „გენერალი სუმბათაშვილი ლაგოდეხიდან იტყობინება: 28 მაისს 11 საათზე სადარაჯოზე მდგომ ჩვენს მზვერავებს წითელარმიელებთან შეტაკება მოუხდათ. რვა წითელარმიელი მოულოდნელად თავს დაესხა ჩვენს ჯარისკაცებს, მათ დედის გინება დაუწყეს და შესძახეს: „ქართველებო, იარაღი დაყარეთო“, თან სროლა ატეხეს. ჩვენები თხრილში განლაგდნენ და წითლებს სროლითვე უპასუხეს და ერთი კიდეც დასჭრეს. ამის შემდეგ მტრებმა გაპარვა დაიწყეს და დაჭრილს ეუბნებოდნენ: „ხომ გეუბნებოდით, ალიოშა, ამ ქართველებთან შებმა არ ღირსო“.

ცხადია, ამ ღიმილისმომგვრელი ინციდენტის გარდა, უფრო სერიოზული ამბებიც ხდებოდა. ერთ-ერთი რუსი საბჭოთა მეცნიერი ე.ტოკარჟევსკი, წითელი არმიის ცენტრალური არქივის მასალებზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ ქართული მხარე სიტუაციას ძაბავდა და საზღვარზე პროვოკაციებს აწყობდა: 1920 წლის მაისის ბოლოს მენშევიკთა ორი ათასკაციანი რაზმი, რომელსაც ზაქათალის ოლქის დაპყრობა სურდა, სოფელ კოვახჩელთან აზერბაიჯანის საზღვარზე გადმოვიდა, მაგრამ წითელი არმიის ქვედანაყოფებმა, ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით, ქართველები უკუაქციეს“, – წერს რუსი სამხედრო ისტორიკოსი. რამდენად შეეფერება სინამდვილეს ტოკარჟევსკის ცნობა, ამას ვერ გავიგებთ (საარქივო მასალის გადამოწმება, გასაგები მიზეზების გამო, არ შეგვიძლია), მაგრამ „ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა“ რომ ბლეფია, ამაში ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გვარწმუნებს: 1920 წლის ივნისის დასაწყისში ზაქათალის ოლქში საყოველთაო ანტისაბჭოთა აჯანყება დაიწყო. „საქართველოს დეპეშათა სააგენტომ მნიშვნელოვანი ამბავი გვაუწყა: 9 ივნისს ზაქათალაში სახელმწიფო გადატრიალება მომხდარა, ბოლშევიკი კომისრები დაუპატიმრებიათ და ადგილობრივი მთავრობა შეუდგენიათ. მოსახლეობამ საქართველოს მთავრობას სთხოვა, რომ მან ზაქათალა დაიკავოს. მეორდება ჩვეულებრივი ამბავი: სადაც კი კომუნისტები შევიდნენ და თავიანთი ნაქები „სამოთხე“ დაამყარეს, ყველა იძულებული ხდება იარაღს სტაცოს ხელი და ამ სამოთხიდან გამოიქცეს. საქართველომ ყურადღება უნდა მიაქციოს ზაქათალის მცხოვრებთა ხმას. თვით იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც რუსეთთან დავსდეთ, ზაქათალა საქართველოს ტერიტორიაა და როცა ამას ხალხიც ხმამაღლა აცხადებს, ამის საწინააღმდეგოდ არავის შეუძლია რამე თქვას“, – აღნიშნულია ქართული პრესის კომენტარებში ზაქათალის მოვლენებთან დაკავშირებით.

რასაკვირველია, საქართველოს არც ამჯერად არ გამოუდია თავი ზაქათალელთა ქმედითი დახმარებისათვის, თბილისი კვლავ მოერიდა წითლების განაწყენებას და ისევ შერეული საარბიტრაჟო კომისიის იმედზე იყო. სამაგიეროდ, მე-11 არმიის სარდლობამ სასწრაფო ზომები მიიღო: მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის 7 მაისისა და ალსტაფის 12 ივნისის ხელშეკრულებებით წითლებს ეკრძალებოდათ სადავო რაიონში დამატებითი სამხედრო ძალების შეყვანა, მათ ზაქათალაში გადაისროლეს 32-ე ქვეითი დივიზიის, 58-ე მსროლელი ბრიგადისა და მე-20 ცხენოსანი კორპუსის ნაწილები. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, 18 ივნისს, ბოლშევიკებმა ზაქათალა ისევ დაიკავეს, ყველა დიდ სოფელში გაძლიერებული რაზმები ჩააყენეს და ადგილობრივი მოსახლეობის რეპრესიები დაიწყეს. პარალელურად, გააძლიერეს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დაცვაც. თბილისმა სადავო ტერიტორიაზე დამატებითი სამხედრო კონტინგენტის შეყვანის გამო ბაქოს და მოსკოვს დიპლომატიური პროტესტი განუცხადა, მაგრამ ორივე დედაქალაქმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტებს ყურადღება არ მიაქცია.

**სიმონ კილაძე**

**(გაგრძელება იქნება)**

## ჩვენ

მე არ ვიცი, რამდენად შევძლი იმის თქმა, რაც თითოეულ ქართველს ყოველდღე ყოველ წუთს აწუხებს. ვინ ფიქრობს იმ ოქროსხელიან ხელოსნებზე, ასეულობით ათას ადამიანზე, რომლებიც ამ დროებამ იძულებით აქცია მუქთახორებად, მათხოვრებად და...
გრიშაშვილისა არ იყოს, დროა, კალმის მაგივრად ხმალს ვტაცოთ ხელი, თუმცა კალამიც ხომ დღეს ხმალია



**გვეხმაურებიან**

# მწერალიც ხომ მოზარდი არ არის, პრეზიდენტის მიერ მინიშნებულ ბუჩქებში შეიყუჟოს?!

**(მეოთხე გვერდიდან)**

როდესაც დედა უნივერსიტეტს ინტრიგების ქსელში ხვევდნენ, როდესაც მეცნიერებათა აკადემიას ძირს უთხრიდნენ, როდესაც ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს ასე არყევდნენ, ჯართად რომ იყიდებოდა მამა-მარჩენალი უნიკალური ქარხნები, საწარმოები, ფეხიდან ნიადაგი გამოგვაცალეს და დღემდე განუკითხავად იყიდება ყველა და ყველაფერი, სადაა საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა ხმა, რად დადუმებულან, რად?

ერის ბრძოლის ჟინი მიინავლა და სამშობლოს გამყიდველებიც გაპარპაშდნენ. მომიტევონ ჩემმა სათაყვანო მწერლებმა, ვიცი, ბევრი მათგანი როგორ იწვის, დარდით დნება. ისინი უეჭველად წერენ, თხზავენ დღევანდელ დუხჭირ ისტორიას, ალბათ სტამბავენ და წიგნებსაც გამოსცემენ, შესაძლებლობის ფარგლებში, მაგრამ ვიღაც წყალ-ძმარად მოუბარი ბურჟუაძის გარდა ასპარეზზე რომ არ ჩანან? ანდა რა ფასი აქვს იმ ხუთას თუ ათას ეგზემპლარ რომანს თუ ლექსების კრებულს, მხოლოდ დედაქალაქის მაღაზიათა დახლებზე რომ აწყვია და სიძვირის გამო იქ არა მხოლოდ იმტვერება, ხუნდება კიდეც.

მე ძალს ვიხრი შესანიშნავი მწერლის და დიდი მამულიშვილის ოტია იოსელიანის წინაშე, რომლის გამოჩენას საზოგადოება ყოველთვის მოუთმენლად მოელის, მაგრამ სანამ ის სოფლიდან ჩამოვა (მაშინაც ტელევიზიები გაბედავენ თუ არა მისთვის ტელეეთერის დათმობას, ღმერთმა უწყისძ. ზაირალი დედაქალაქელმა მწერლებმა უნდა აიღონ. აი, ნოდარ ჯალაღანია რომ დასძახებს შიგადაშიგ, კიდევ ჯანსული და რეზო ამაშუკელი ან სხვა თითო-ოროლა ისე რომ გამეხიანდებიან ხოლმე...

ვიმეორებ, თუნდაც ოთხასი მწერალი ერთად რომ დამდგარიყო, ლადოსი არ იყოს, ერთად ხმამაღლა რომ ეთქვათ სიმართლე, მტერს ისიც კი შეაკრთობდა, თუ ძალიან არ შეაშინებდა მაინც.

იქნებ მე ვცდები, იქნებ იბრძვიან ან რაღაცას აკეთებენ ისეთს, ერის წინამძღოლის მისია რომ ჰქვია. მართალია, პრეზიდენტი ახალგაზრდებს კი მოუწოდებს ბუჩქებისაკენ, მაგრამ შემოქმედს, საზოგადო მოღვაწესა და ხელოვანს იქ რა უნდა? მართლა და მართლა, ამ მთავრობამ კურდღლებად ხომ არ გვაქცია, რატომ გვინდა ნარი მხოლოდ სხვათა ხელებით ვგლიჯოთ? თუ ასე გავაგრძელეთ ერთ ოციოდე წელიწადში ქართველები აქ მოსახლე სხვა ერების მონებად ვიქცევით, რაც დღესაც დიდი იშვიათობა როდია. აბა ნახეთ გარდაბანსა თუ მარნეულში, თვით აზერბაიჯანის მოსაზღვრე რაიონებში ქართველი ქალები, არცთუ იშვიათად კაცებიც, რაღაც მათხოვრულ გროშებზე როგორ იწყვეტენ წელს მიწის ბარვით, მოსავლის აღებით თუ მათი საოჯახო მომსახურებით. წითელ ხიდთან ყოველ დილით იქ სამუშაოდ მიმავალთა რიგებია და განა ყველას უმართლებს?!

მე არ ვიცი, რამდენად შევძელი იმის თქმა, რაც თითოეულ ქართველს ყოველდღე ყოველ წუთს აწუხებს. ვინ ფიქრობს იმ ოქროსხელიან ხელოსნებზე, ასეულობით ათას ადამიანზე, რომლებიც ამ დროებამ იძულებით აქცია მუქთახორებად, მათხოვრებად და...

გრიშაშვილისა არ იყოს, დროა, კალმის მაგივრად ხმალს ვტაცოთ ხელი, თუმცა კალამიც ხომ დღეს ხმალია.

**გივი ჯახუა**

**ინფორმაცია**

## რუსთავის მერის მოადგილემ თანამდებობა დატოვა

**რუსთავის მერიაში საკადრო ცვლილება განხორციელდა. ქალაქის მერის მოადგილემ მერი ლოლაძემ თანამდებობა დატოვა.**

**როგორც რუსთავის მერმა დავით ნადაშვილმა განაცხადა, მისმა მოადგილემ თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე გადადგა.**

**— ქალაქის მერია ცოცხალი ორგანიზმია და ცვლილებები მუდმივად ხორციელდება. ჩემმა მოადგილემ კერძო ბიზნესში წასვლა ამჯობინა,— აღნიშნა მან.**

**ლოლაძის ადგილზე სოციალური სამსახურის უფროსი ხათუნა ბარბაქაძე დაინიშნა.**

**ინტერპრესნიუსი**

**პროსტიტუცია**



# დედოფლისწყაროში „ელიკო მამიდას“ საროსკიპოს პოლიცია ლობირებდა

### არც 12-13 წლის ბიჭების მომსახურებაზე ამბობდნენ უარს...

**დედოფლისწყაროში, სოფელ წითელწყაროს შესასვლელში, მეგობრობის ქუჩა ტერტერაშვილების ბინით იწყება. ამ ოჯახს ყველა იცნობს... მათთან თითქმის თხუთმეტი წელია არაოფიციალური ბორდელი ფუნქციონირებს, რომელსაც ელიკო ტერტერაშვილი ხელმძღვანელობდა. საროსკიპო კახეთის მასშტაბით განთქმულია და მათი მომსახურებით რეგიონის ახალგაზრდობა სარგებლობდა.**

ამ დასახლებაში ძირითადად რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, ტერტერაშვილების მომცრო ბინაც რუსული ტიპისაა და ორი პატარა ოთახისგან შედგება. ახლახან ამ ბორდელისა და მისი მესვეურების დაკავების შესახებ საზოგადოებამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერიდან შეიტყო, თუმცა ტელევიზიით არ თქმულა ყველაზე მთავარი დეტალი — მეძავებს პოლიციელები ლობირებდნენ. ალბათ, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ტელეკომპანიას ოპერატიული ვიდეომასალა სწორედ ძალოვანმა სტრუქტურებმა ექსკლუზიურად მიაწოდეს.

ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში კვლავ აქტუალურია, ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალბატონები, ამ შემთხვევაში, საზღვარგარეთ კი არა, საკუთარ სამშობლოშიც მონობისა და პროსტიტუციის მსხვერპლნი ერთნაირი წარმატებით ხდებიან. ანალოგიური ფაქტი ახლახან დედოფლისწყაროში დაფიქსირდა. როგორც გაირკვა, დედოფლისწყაროს რაიონული პოლიცია ვითარების გამოსწორების ნაცვლად მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ხელს წლების მანძილზე უწყობდა.

საგულისხმოა, რომ დედოფლისწყაროელების ინფორმაციით ე.წ. „მამაშას“ წლების მანძილზე მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსებთან, რის გამოც მათი პასუხისმგებლობის საკითხი არასოდეს დასმულა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დედოფლისწყაროს საროსკიპოში გოგონები ახმეტიდან, თელავიდან, გურჯაანიდან, ყვარლიდან და თბილისიდან ჩაჰყავდათ...

როგორც ძიებისას გაირკვა, ქალბატონი ელიკო არასრულწლოვან გოგონებსაც აიძულებდა სხეულით ევაჭრათ. 18 წლის ნათია სრულწლოვანი ხსენებულ საროსკიპოში გახდა. ამ უკანასკნელს უმძიმეს პირობებში უხდებოდა ყოფნა. მისი დახმარება კიდევ ერთმა ქალბატონმა გადაწყვიტა. საროსკიპოდან გაპარვა გამთენიისას, ოჯახის წევრების დათრობის შემდეგ მოახერხეს და თბილისში, სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში იჩივლეს.

სოდ-მა სულ სამი პიროვნება დააკავა: წარსულში ნასამართლევი ელიკო ტერტერაშვილი, მისი თანაშემწე ნათია საბაშვილი და ტაქსის მძღოლი ამირან ნადირაშვილი. ტაქსის მძღოლს გარკვეული თანხის სანაცვლოდ, გოგონები სხვადასხვა რაიონიდან დედოფლისწყაროში ჩაჰყავდა და ტერტერაშვილების ოჯახში ტოვებდა.

ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსის მოადგილე ლევან გვენცაძე განმარტავს, რომ გამოპარულმა გოგონებმა აქტიურად ითანამშრომლეს გამოძიებასთან და დეტალური ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, ადვილად მოხერხდა დამნაშავეობრივი ჯგუფის დაკავება, რომელთაც რამდენიმე დღის მანძილზე აკვირდებოდნენ.

გოგონები აცხადებენ, რომ ელო ტერტერაშვილი მათ მკაცრად ექცეოდა და სახლიდან გასვლის საშუალებას არ აძლევდა, რის გამოც გამოძიებამ მას ტრეფიკინგშიც დასდო ბრალი. როგორც გავარკვიეთ, ხშირი იყო შემთხვევა, როცა ძალადობის მსხვერპლი ორსულდებოდა და ახალშობილთან ერთად საროსკიპოში მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება.

ინტიმური მომსახურებისთვის კლიენტები გასამრჯელოს „ელიკო მამიდასთან“ იხდიდნენ, ამ დღეებში კი გაირკვა, რომ ეს ქალი მეძავებს უმნიშვნელო თანხასაც კი არ აძლევდა და უფასოდ ამუშავებდა.

ჩვენ ტერტერაშვილების საროსკიპოს ასავალ-დასავალი ძირეულად შევისწავლეთ. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გოგონების ერთსაათიანი მომსახურება სულ რაღაც ხუთი ლარი ღირდა. როგორც დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები ჩვენთან საუბრისას აცხადებენ, თუ ერთგულ კლიენტებს ეს მიზერული თანხაც არ გააჩნდათ, ქალბატონი ელიკო მათ „ნისიად“ უმასპინძლებდა ან, უკიდურეს შემთხვევებში, სექსუალური მომსახურება ნატურით ანაზღაურდებოდა, ანუ „ელიკო მამიდა“ კლიენტებს სხვადასხვა მარცვლეული პროდუქტების სანაცვლოდ სთავაზობდა მომსახურებას. სწორედ ამ და სხვა პრივილეგიების გამო და იმის გათვალისწინებით, რომ ამ მხრივ კახეთში არცთუ კონკურენტუნარიანი გარემო გახლავთ, „ელიკო მამიდას“ საროსკიპო კლიენტის სიმცირეს არასოდეს განიცდიდა და სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აქაურ ახალგაზრდებს ხშირად რიგში დგომაც უწევდათ.

ვიდრე „ელიკო მამიდას“ უკანონო საქმიანობით სოდ-ი დაინტერესდებოდა, ხსენებულ საროსკიპოს რიგითი კლიენტის ამპლუაში ვეწვიე. მართალია ადგილზე თავად „ხელმძღვანელი“ არ დაგვიხვდა, მაგრამ კლიენტის დაკმაყოფილება მისმა მარჯვენა ხელმა ნათია საბაშვილმა უზრუნველყო. ნათიამ დასაწყისშივე მთხოვა, დაუყოვნებლივ შიგნით შევსულიყავი, რათა უცხო თვალის ყურადღება არ მიმეპყრო და მათთვის დამატებითი პრობლემები თავიდან ამეცილებინა. იმ მომენტში სხვა კლიენტი არც იყო და გოგონებიც თავისუფლები იყვნენ. ოფიციალური ტარიფის (რომელიც მიზერული და სასაცილოა — 5 ლარიძ გადახდის შემდეგ, სამი გოგონა გამოიყვანა და არჩევანის გაკეთება შემომთავაზა.

იხ. 12 გვ.

# SOS!

**ქვეყანაში შექმნილ უმართავ კრიმინოგენურ ვითარებაში დიდი „წვლილი“ შეაქვს სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულებს, ოფიციალური ინფორმაციით, სისხლის სამართლის დანაშაულების 30%-ზე მეტი ნასვამ მდგომარეობაში მყოფთა მიერ არის ჩადენილი**



**პრობლემა**

# ვინ მფარველობს სპირტის ბიზნესს




***მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ღვინის მწარმოებელ ქვეყნად ითვლება, ჩვენი ბაზარი გაჯერებულია უცხოური ღვინითა და ალკოჰოლური სასმელებით. 2004 წლის მონაცემებით, ქვეყანაში შემოვიდა უცხოეთში წარმოებული 70 მილიონის პროდუქცია. 2005-ში მაჩვენებელმა 87 მილიონს გადააჭარბა. თუ ოფიციალურ მონაცემებს გვერდზე გადავდებთ და რეალობას, ანუ ჩვენი მებაჟეებისა და მესაზღვრეების „კარგ“ მუშაობას გავითვალისწინებთ, ადვილი მისახვედრი იქნება თუ რაოდენ დიდია უცხოური სასმელების საქართველოში შემოტანის მაჩვენებელი, მათ შორის სპირტისა. ოფიციალური მონაცემებით შემოტანილი სპირტის რაოდენობა 150-200 ტონას არ აღემატება.***

ნავთლუღის არყის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგის ვაჟა გაგუას განმარტებით, ქვეყანაში შემოტანილ სასმელებზე კონტროლი საერთოდ მოხსნილია, ჩვენთან შემოტანილი სპირტის 80 პროცენტზე მეტი მდარე ხარისხისაა და მათი მოხმარება ადამიანისთვის კატეგორიულად არის აკრძალული. ქვეყნები, საიდანაც სპირტი შემოდის, მათ გზავნილს კვების მრეწველობაში კი არ იყენებენ, არამედ მათი საშუალებით ხდება მაღალი ტექნოლოგიური დანადგარების გაწმენდა, გასუფთავება. ჩვენი რესპონდენტის გადმოცემით, ქვეყანაში შემოტანის დროს პროდუქცია მართლაც ფორმდება როგორც მეორეხარისხოვანი, მაგრამ დანიშნულების ადგილზე მიტანის შემდეგ პირველხარისხოვანი ხდება და გასაყიდად გადის. ამის მიზეზია კერძო პირების ხელთ არსებული ე.წ. „ჭაჭის“ დაბალი ღირებულება.

გაგუას გადმოცემით, ადრე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკრაინიდან უმაღლესი ხარისხის სპირტი შემოდიოდა, ნავთლუღის ქარხანაში (და არა მარტო აქ) ხდებოდა შემოტანილი პროდუქციის ნახშირში ორჯერ გატარება — ფილტრაცია. დღეს ამ ტექნოლოგიას არავინ იყენებს. ამის გამოა, რომ ჩვენში დამზადებული ალკოჰოლური (ძირითადად არაყი) სასმელები მნიშვნელოვნად დაბალი ხარისხისაა, სამაგიეროდ იაფია. რესპონდენტის გადმოცემით უხარისხოა უცხოეთიდან შემოტანილი ზოგიერთი დასახელების არაყიც, რაც მათ ფასშიც აისახება.

სპეციალისტს განსაკუთრებით დაუშვებლად მიაჩნია უცხოეთიდან შემოტანილი მდარე ხარისხის სპირტით ვაჭრობა. იგი თვლის, რომ მდარე ხარისხის სპირტი სასიკვდილოა ადამიანისთვის, რომ უვარგისი სპირტის



შემოტანის ბიზნესს სერიოზული მფარველები ჰყავს მაღალ ეშელონებში.

თუ არა ლობისტები, ვის დამსახურებას უნდა მივაწეროთ ამ კუთხით კანონმდებლობის არასრულყოფილება. კანონით ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუ ვის აქვს უფლება აწარმოოს და რეალიზაცია გაუკეთოს ალკოჰოლურ სასმელებს... ალკოჰოლურ ნაწარმზე აქციზის დაკვრა მხოლოდ ქარხნული წესით დამზადებული პროდუქციისათვის არის სავალდებულო. არადა, ქვეყანაში მომხმარებლად ალკოჰოლური სასმელების ნახევარზე მეტი ჩამოსასხმელ პროდუქციაზე მოდის.

ტექნოლოგიის შეშფოთებას იზიარებს კარდიოლოგი თინა ამზარდანაშვილი, მართალია უშუალოდ ალკოჰოლთან მოწამვლისა და, აქედან გამომდინარე, მძიმე შედეგებით დასრულების ფაქტები იშვიათად ალინუსხება, მაგრამ ძალიან გახშირდა უხარისხო სპირტიანი სასმელების მომხმარებელთა სიკვდილიანობის ფაქტები, უხარისხო ალკოჰოლური სასმელები ჭარბი მოხმარების პირობებში 3-5 წელიწადში იწვევს კუჭის, ღვიძლის, თირკმელების, განსაკუთრებით კი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, რაც, უმეტეს შემთხვევებში, გარდაცვალების მიზეზი ხდება. არაოფიციალური მონაცემებით ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული დაავადებებით საქართველოში 2005 წელს 1200-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, 2006 წელს — 1700-მდე. ექსპერტთა ვარაუდით მიმდინარე წელს მოსალოდნელია რაოდენობრივი მატება.

რესპონდენტი შეშფოთებას იმ ფაქტის გამოც გამოსთქვამს, რომ ალკოჰოლ მომხმარებლებში შეინიშნება მნიშვნელოვანი გაახალგაზრდავება. მისი აზრით, უვარგის სასმელებს სკოლებში, დაბალი კლასის მოსწავლეებიც ეტანებიან. ახალგაზრდა ორგანიზმი შხამს მოუმზადებელი ხვდება, რაც იწვევს მატებებს ბავშვთა სნეულებებში. დაავადებები ზღასრულ ასაკში ქრონიკულ სახეს ღებულობენ.

## „გამზავებლები“ „კუსტარნიკებზე“ სუფთად მუშაობენ

ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ ალკოჰოლურ სასმელებს უმთავრესად მეორე ხარისხოვანი სპირტის „გამზავებლები“ და „კუსტარნიკები“ ამზადებენ.

ჩვენი რესპონდენტი ჯემალ ჯ. (გვთხოვა, გვარი არ დაგვესახელებინა): „გაუზავებელი სპირტის ყიდვა ყველას შეუძლია. ნავთლუღის ბაზრობაზე მუდმივი კლიენტი მყავს. მისგან გაუზავებელ სპირტს ვყიდულობ 1 ლიტრს 2 ლარად და 30 თეთრად. მომაქვს „ბუტკაში“ და ერთი-ერთზე ვაზავებ. ნახევარლიტრიან ბოთლს (გაზავებულს) 1 ლარად და 30 თეთრად ვყიდი. ჭიქა (100 გრამი) 25-30 თეთრად იყიდება.

ჩვენს რესპონდენტს არასოდეს არ მოუთხოვია შესასყიდი პროდუქტის ხარისხიანობის დამამტკიცებელი სერტიფიკატი, მსგავს საბუთს მისგან არც მყიდველები ითხოვენ. „ბუტკის“ გამყიდველი აცხადებს, რომ არასოდეს არ მოიტანს გასაყიდად კუსტარული წესით „ცეხებში“ დამზადებულ არაყს. ეს სასმელი საშინელ პირობებში მზადდება. ჩამოსასხმელი აბაზანები და ბოთლები გაურეცხავი და ბინძურია. „ცეხებში“ უამრავი ბუზი, ტარაკანა, თაგვი და ვირთხაა, — გვიხსნის ჯემალი. მისი აზრით, გასაზავებელი სპირტი გაცილებით უსაფრთხოა. როგორც საუბრიდან გავარკვიე „ბუტკებს“, იქ ნაწარმოებ და გასაყიდად გამზადებულ ფალსიფიცირებულ, უვარგის სასმელებს არავინ ამოწმებს.

ქვეყანაში შექმნილ უმართავ კრიმინოგენურ ვითარებაში დიდი „წვლილი“ შეაქვს სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულებს, ოფიციალური ინფორმაციით, სისხლის სამართლის დანაშაულების 30%-ზე მეტი ნასვამ მდგომარეობაში მყოფთა მიერ არის ჩადენილი. განსაკუთრებით დიდია ეს მაჩვენებლები მძიმე დანაშაულებში (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება) და ხულიგნობებში. ზესტაფონის რაიონში ქორწილში მყოფი მეგობრები სულიკო გოდაბრელიძე, ვიქტორ ბიბილაშვილი და გაიოზ მოდებაძე სუფრის სხვა წევრებს აუხირდნენ. ურთიერთშელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. სულიკო გოდაბრელიძემ იარაღით სასიკვდილოდ დაჭრა ლევან მიქაუტაძე, ხოლო დათო არაბიძე მძიმედ დაიჭრა. ორმხრივი ჩხუბის დროს მოდებაძე ნოდარ ძოძუაშვილმა დანით ბარძაყის არეში დაჭრა. არეულობის დროს მისთვის ვერავინ მოიცალა. დაჭრილმა დიდძალი სისხლიც დაკარგა. მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

ბოლო წლებში ალკოჰოლიკთა „ბუნაგებიც“ გაჩნდა. სისტემატური ღრეობები, გაურკვეველი წარმომავლობისა და ზნეობის პირთა თავშეყრა არცთუ იშვიათად ტრაგიკული შედეგებით მთავრდება.

წლეულს, თებერვალში გლდანის VIII მიკრორაიონში მევლუდ ჩამქიანის ბინაში მოწყობილ ალკოჰოლიკების ბუნაგში „მუდმივმა“ წევრმა მერაბ ზუბაშვილმა „კოლეგა“ ლუკა ნავროზაშვილი მიიყვანა, რომელიც დამხვდურთაგან არავის იცნობდა. შუაღამით გადამთვრალ თანამეინახეებს შორის ჩხუბი ატყდა. ერთმანეთს მასპინძელი და ნავროზაშვილი დაუპირისპირდნენ. მორჩხუბრებთან კონფლიქტს თანამეინახეებმა თავი აარიდეს და სახლიდან გაიკრიფნენ. სტუმარმა ჩიმქიანს თავში მძიმე საგანი ჩაარტყა (რა საგანი, ჯერჯერობით დაუდგენელია). გონდაკარგული მასპინძელი ნავროზაშვილმა ლოგინამდე მიათრია და იქვე დააგდო. შემდეგ კი მას გვერდით მიუწვა და დაიძინა. დილით ღია კარის დანახვაზე მეზობლები ჩიმქიანის სახლში შევიდნენ. მასპინძელი უკვე გარდაცვლილი იყო. გამოიძახეს პოლიცია. მათ ძლივს მოახერხეს ნავროზაშვილის საგონებელში ჩაგდება, „სტუმარმა“ პოლიციელებს ვერ უთხრა ვის ბინაში იყო, ვინ მიიყვანა და საერთოდ რა მოხდა წინა ღამით.

უფროსების წაბაძვით არასრულწლოვანები არა მხოლოდ საღამოებსა და ქეიფებზე ეტანებიან ალკოლჰოლურ სასმელებს, არამედ ბაღებში, სკვერებში და მაღალსართულიანი შენობების სადარბაზოებშიც კი.

თემქაზე მცხოვრებმა 14 წლის ნუკრი ჩილინგარიშვილმა და 15 წლის სოსო მეუნარგიამ არაყი პატარა სკვერში დალიეს. შემდეგ ერთ-ერთი კორპუსის (პოლიციელთა ვარაუდით) სადარბაზოში გააგრძელეს სმა. შემდეგ რა მოხდა, არავინ იცის, პოლიციის ოპერატიულმა შემოვლითმა ჯგუფმა ისინი ძირს დაყრილები შუა ქუჩაში იპოვა. მეუნარგიას დანით რვა ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ჩილინგარიშვილს ხუთი — აქედან ორი გულში. სამართალდამცავებმა ორივე საავადმყოფოში მიყვანეს. ჩილინგარიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო, მეუნარგია საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ექსპერტიზის დასკვნით, შემთხვევის ადგილთან ნანახ დასაკეც დანებზე ერთ-ერთის სისხლის კვალი და ხელის ანაბეჭდები აღმოჩნდა. გარდაცვლილებმა ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმეტეს.

არაფხიზელ მდგომარეობაში ჩადენილთა წვლილი განსაკუთრებით დიდია ავტოავარიების შემთხვევებში, განსაკუთრებით ტრაგიკული ფინალით დამთავრების დროს.

ღამის საათებში თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალზე საპირისპირო მხრიდან დიდი სიჩქარით მომავალი „ბმვ“ და „აუდი“ დაეჯახნენ ერთმანეთს. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორივე მანქანაში მყოფი 7 მგზავრი გარდაიცვალა (მძღოლთა ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ). გადარჩა მხოლოდ „აუდის“, ერთი მგზავრი, რომელიც ექიმთა ვარაუდით, ცხოვრების ბოლომდე ინვალიდი დარჩება, საგზაო პოლიციის მტკიცებით საჭესთან მსხდომნი ნასვამები იყვნენ.

## ალკოჰოლიზმი ნარკომანიაზე არანაკლები საფრთხეა?

„გალოთდა“ — ამგვარი ეპითეტით არაერთგზის მოიხსენიებენ ადრე იმედისმომცემ ახალგაზრდას, წარსულში ცნობილ პიროვნებას.

„ჩვენში ალკოჰოლიზმის შემოჭრას, პირველ რიგში, ხელი შეუწყო მოალაქეების სოციალურმა მდგომარეობამ. უმუშევრობამ, პერსპექტივის არ არსებობამ წარმოშვა ეს სენი“ — მიაჩნია ფსიქოლოგ ნაილი ზაუტაშვილს. მისი აზრით, დაბალი ხარისხის იაფფასიან სასმელებს ხელმოკლეობის პირობებში ეტანებიან. უფულო და დაუსაქმებელი ხალხი ცდილობს პრობლემები ალკოჰოლში ჩაკლას. მის ხელთ არსებული მონაცემებით, ქვეყანაში ყოველწლიურად 400 მილიონამდე ლარის ალკოჰოლური სასმელი ისმება.

ზაუტაშვილის განმარტებით, ქვეყნის ხელისუფლება პრობლემას ზერელედ უყურებს. არ არსებობს ალკოჰოლიზმით დაავადებულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო სისტემა. აღარ ფუნქციონირებს არც ერთი გამოსაფხიზლებელი. ფსიქოლოგს აუცილებლად მიაჩნია ამგვარი დაწესებულებების გახსნა, სადაც მისი პროფესიის ხალხიც უნდა მიავლინონ სამუშაოდ. „თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე ალკოჰოლიზმი, თრობა რაოდენობრივი მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად მიუახლოვდება ნარკომანიით დაავადებულთა რიცხვს, რაც კატასტროფის მომტანი გახდება. საჭიროა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ანტიალკოჰოლური პროპაგანდა. რესპოდენტს მიაჩნია, ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართალდამცავ სტრუქტურებსაც. ალკოჰოლის უკანონო წარმოება, კონტრაბანდა, მდარე ხარისხის სპირტი ხელშეუხებელ სფეროდ იქცა. ყოველივე კი საზოგადოებაში განამტკიცებს ეჭვს, რომ ხელისუფლების ზემო ეშელონებში ალკოჰოლს სერიოზული ლობისტები ჰყავს.

**ზაზა ბილიხოძე**

# ცხოვრება რთულია

თავისი გამოსვლის დასასრულს ბატონმა სააკაშვილმა გაიხსენა „მრავალი პროვოკაცია რუსეთის მხრიდან – რაკეტების დაშენით დაწყებული და ეკონომიკური ემბარგოთი დასრულებული, რომელზეც საქართველო რეაგირებდა როგორც მშვიდობიანი ქვეყანა, რომელიც პატივს სცემს საერთაშორისო სამართალს“



◎ აქტუალური თემა

# განათლების სამინისტროს წარმომადგენლები მოწოდების სიმაღლეზე არ დგანან...

## რას ურჩევს ახალგაზრდებს სექსოპათოლოგი არჩილ ბაქრაძე

***საქართველოში ამ სპეციალობის სულ 11 ექიმია. მათ გამოცდაც ჩააბარეს და ლიცენზიაც მიიღეს. სხვები კი, ვინც ირქმევს ამ სახელს, არც სათანადო ცოდნა აქვთ და არც უფლება. არჩილ ბაქრაძე ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ექიმს შორის, რომლებიც სექსოპათოლოგები არიან.***

***მასთან კაბინეტში შესვლისთანავე ყურადღებას იქცევს თაროებზე განლაგებული უამრავი თვითმფრინავის მოდელი. ეს მისი ჰობია, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ. როგორ გახდა ექიმი არჩილ ბაქრაძე სექსოპათოლოგი?***

– ჩემი სექსოპათოლოგად ჩამოყალიბება მაშინ დაიწყო, როცა კლინიკურ ასპირანტურაში სწავლისას ჩემმა ხელმძღვანელმა პროფესორმა ნოდარ ბოხუამ დამიდგინა თემა – „არტერიული იმპოტენციის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“. ამ თემამ 1983 წელს გამიყვანა სექსოლოგიურ პაციენტებზე და ნელ-ნელა მათთან მუშაობით სექსოპათოლოგი გავხდი. 1989 წელს სამედიცინო ინსტიტუტში სექსოლოგიის კათედრა დავაარსე, რომლის ამოცანაც იყო სექსუალური აღზრდის კურსის დაფუძნება ჯერ უმაღლეს სასწავლებლებში და პედაგოგიურ ინსტიტუტებში, შემდეგ უკვე სკოლებში. გარდა ამისა, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის სექსოლოგიის სპეციალური კურსი იკითხებოდა. მერე სამედიცინო კანონში ცვლილებები შევიდა და 1995 წელს ჩვენი კათედრა გაუქმდა.

**– თქვენი დარგი საკმაოდ სპეციფიკურია...**

– სექსოპათოლოგიაში საბოლოო შედეგი დამოკიდებულია ექიმზე, პაციენტზე და კიდევ ქალზე – პაციენტის პარტნიორზე (ან სათუო პარტნიორზეძ, რომელსაც სექსოპათოლოგი საერთოდ არ ხვდება. ზოგი მანდილოსანი ისე იქცევა, რომ ნებისმიერი კაცი შეიძლება დაავადმყოფოს. სექსოპათოლოგია ურთულესი დარგია. ის არ ნიშნავს პაციენტის „ვიაგრით“ ან სხვა აბებით მკურნალობას. იგი დაკავშირებულია როგორც წმინდა სამედიცინო დარგებთან: ანგიოლოგიასთან, ენდოკრინოლოგიასთან, თერაპიასთან, ნევროპათოლოგიასთან, ასევე რელიგიასთან, ადათწესებთან, ფსიქოლოგიასთან. უამრავი პლასტია, რომელიც ექიმისგან გენერალიზებულ ცოდნას მოითხოვს. ცალკე საკითხია თავმოყვარეობის და რიდის მომენტი – პაციენტს საკუთარი ძალების რწმენაც უნდა განუვითაროს სექსოპათოლოგმა. საერთოდ, სექსუალური კულტურა ადამიანის ზოგადი კულტურის ნაწილია, ამიტომ აუცილებელია სწორი სქესობრივი აღზრდა.

**– რა ასაკიდან უნდა მიიღოს მოზარდმა ინფორმაცია?**



– ბავშვობიდან. ეკლესია ამის წინააღმდეგია, მაგრამ როდესაც მღვდელი თავის ვაჟს ეუბნება, ნუ ტირი, გოგო ხომ არა ხარ, ან, გოგოს არ აწყენინო და ა. შ. ესეც სქესობრივი აღზრდაა. მამა ბიჭს მისი სქესისთვის, ანუ მამაკაცისთვის დამახასიათებელ ქცევას აჩვევს. უნდა ვიცოდეთ, რა დოზით და რა დროს ვესაუბროთ ბავშვს სქესობრივ საკითხებზე. სკოლაშიც საჭიროა არა სექსოლოგიის სწავლება, არამედ სქესობრივი აღზრდა. განათლების სამინისტროს წარმომადგენლები მოწოდების სიმაღლეზე არ დგანან. ეს თემა ხშირად ხდება პოლემიკის საგანი, თუმცა საკითხი ისევ დღის წესრიგში დგას.

**– ბატონო არჩილ, გაკმაყოფილებთ იმ წიგნების შინაარსი, რომლებიც ბავშვებისთვის და მოზარდებისთვისაა განკუთვნილი?**

– არსებობს უცხოენოვანი ენციკლოპედია 3-8 წლამდე, 8-12 წლამდე, 12-17 წლამდე ასაკისებისთვის ჩვენთან, მათი თარგმანი აბსოლუტურად არაკვალიფიციურია, რადგან საქმეს შემთხვევითი ადამიანები ჰკიდებენ ხელს. გრანტს მიიღებენ და ხარისხი არც აინტერესებთ. ისეთი შეცდომები მინახავს, მეუხერხულება გითხრათ. თავის დროზე, როდესაც ჩვენი კათედრა არსებობდა, პედაგოგიურ ინსტიტუტებში მომავალ მასწავლებლებს ვუკითხავდით კურსებს „ოჯახი და ქორწინება“, „სქესობრივი აღზრდა“, „სქესობრივი ჰიგიენა“. ეს კურსები ითვალისწინებდა იმას, რომ სკოლაში მისვლისას პედაგოგს, ვთქვათ მეცხრეკლასელ მოსწავლეში ამოეცნო სექსუალური პრობლემა და მშობელთან ერთად გაეწიათ სათანადო დახმარება. საწყენია, რომ ახალგაზრდების 40 პროცენტის პრობლემები გაუნათლებლობის, დაბალი სექსუალური კულტურის ბრალია. ზოგს ჰგონია, რომ სამკურნალოა, არადა, მისი მკურნალობა სწორი ინფორმაციის მიწოდებაა. ზოგიერთი იმდენად ითრგუნება მორალურად და ფსიქოლოგიურად, რომ აქტიური სექსუალური რეაბილიტაცია სჭირდება. ცუდ სამსახურს უწევს ახალგაზრდებს მდარე ხარისხის პორნო და ეროტიული ჟურნალ-გაზეთები. ისინი ყველგან თავისუფლად იყიდება. იგივე შეიძლება ითქვას სექსუალურ ლიტერატურაზე – ნებისმიერს შეუძლია შეიძინოს. ზოგადად აკრძალვა არ შეიძლება, იმიტომ, რომ შედეგი არ მოაქვს, მაგრამ კონტროლი და რეგულირება ის გზაა, რომელიც საშუალებას იძლევა, საქმე წინ წავიდეს. საჭიროა კანონმდებლობა, უნდა განისაზღვროს – სად გაიყიდოს და სად არა ამ ტიპის ლიტერატურა. ვფიქრობ, რომ სკოლებთან, ცენტრალურ ქუჩებზე არ უნდა იყიდებოდეს.

**სექსოპათოლოგი, პროფესორი არჩილ ბაქრაძე მოყვარული ავიამოდელისტია, მაგრამ მისი მოდელები პროფესიონალის დონეზეა აწყობილი, ამიტომ მისი კოლექცია ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.**

**ნანული ზოტიკიშვილი**

*სურათებზე: პროფესორი არჩილ ბაქრაძე და მისი გატაცება – სხვადასხვა მარკის თვითმფრინავების მაკეტები.*

◎ ინფორმაცია

## ევროსაბჭოში ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დეტალებზე ანგარიშს მოისმენენ



ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ რენე ვან დერ ლინდენმა დაადასტურა, რომ პარასკევს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს სხდომაზე საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ ანგარიშის მომზადების საკითხს განიხილავენ. ამის შესახებ სააგენტო „რია-ნოვოსტი“ იუწყება.

– ეს საკითხი პარასკევს ბიუროზე განიხილება, – განაცხადა მან პრესკონფერენციაზე.

„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ, სენატორმა მიხეილ მარგელოვმა აღნიშნა, რომ ასამბლეა იანვრის სესიისთვის პრემიერ ჟვანიას შესახებ ანგარიშს მოამზადებს.

მისივე თქმით, ევროსაბჭოს წარმომადგენელს მათიას ეორშს საქართველოში ჩასვლა და ჟვანიას გარდაცვალების დეტალების გარკვევა დაევალა.

მარგელოვის თქმით, ბრიტანეთის დელეგაციის ინიციატივით, ამ თემის შესახებ ცალკე ანგარიში მომზადდება.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებების შესწავლაში ევროპელი ექსპერტების ჩართვა ობიექტურ გამოძიებას ხელს შეუწყობს.

ამის შესახებ გარდაცვლილი პრემიერის ძმამ გიორგი ჟვანიამ განაცხადა.

მისივე თქმით, იგი დიდი ხანია საქმეში ევროპელების ჩართვას ითხოვს და ევროსაბჭოს მონაწილეობამ, შესაძლოა, გარკვეული შედეგები გამოიღოს.

– მნიშვნელობა არ აქვს, ვინ დააყენა აღნიშნული ინიციატივა ევროსაბჭოში – რუსეთმა თუ ნებისმიერმა სხვა ქვეყანამ. მთავარია, საქმე ობიექტურად შეისწავლონ. ვნახოთ, როგორ ჩაერთვებიან სიმართლის დადგენაში. მე ვიცი, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიება არ უნდა“, – განაცხადა ჟვანიამ.

* * *

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით საკითხი დღის წესრიგში არ შეიტანა – ამის შესახებ ჟურნალისტებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა გიგა ბოკერიამ განუცხადა.

## ბაქოდან ნავთობის გადაქაჩვა აღდგა



ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ნავთობის გადაქაჩვა განახლდა.

კომპანიის ცნობით, ნავთობის ტრანსპორტირების მოცულობა ეტაპობრივად იზრდება და მალე დღეში 680-700 ათას ბარელს მიაღწევს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ნავთობის ტრანსპორტირება რამდენიმე დღის წინათ, თურქეთში მდებარე ნავთობსადენის პირველ საქაჩ სადგურზე აღმოჩენილი ტექნიკური პრობლემების გამო შეჩერდა.

## „ქარიშხალაში“ სტუდენტებისთვის შეუფერებელი პირობებია

ყოფილი სპორტის აკადემიის ადმინისტრაციულ შენობასთან დღეს სტუდენტებისა და მწვრთნელების აქცია გაიმართა.

ისინი შესაფერისი სასწავლო პირობების შექმნასა და აკადემიის სპორტულ ბაზაზე სწავლის გაგრძელებას ითხოვენ.

აქცია სპორტულ კომპლექს „ქარიშხალასთან“ დაიწყო და აკადემიის ყოფილ შენობასთან გადაინაცვლა.

ყოფილი აკადემიის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ მამუკა მაღლაკელიძემ განაცხადა, რომ სწავლის პროცესის განახლებასთან დაკავშირებით სპორტულ კომპლექს „ქარიშხალაში“ მივიდნენ, თუმცა იქ სწავლისა და ვარჯიშისთვის შეუფერებელი პირობებია.

აქციის მონაწილეთა თქმით, ოთახების ნაცვლად მათ, პრაქტიკულად, ბუნაგი და ციხის საკნები დახვდათ.

ყოფილი სპორტის აკადემიის ადმინისტრაციული კორპუსის წინ სტუდენტები და მწვრთნელები აქციას დღესაც გამართავენ და კულტურისა და სპორტის მინისტრის გოკა გაბაშვილის გადადგომას მოითხოვენ.



**ინტერპრესნიუსი**

№ 189. სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

# წუთისოფელი

**● მეორე გაზაფხული „ახალი ისტორიული გამარჯვებებით“ დაიწყო. დამთავრდა, ჯერ კიდევ ომამდე დაწყებული, ბათუმის თეატრის შენობის მშენებლობა. გახსნის დღეც დადგა. ხალვაში მიესალმოს მიტინგსო, უთქვამთ ზემოთ.**



## ◎ გულწრფელი წიგნი

გავუარე „ხვალ“. მიმიღო. მყუდროში, ნათელში, ბევრწიგნებიანში. ურეკავს (მგონი ჯიქიას, ქალაქის თავსძ, თითქმის ეჩურჩულება – რუსულად. გვიჭირს, მაგრამ ერთი პატარა გამონთავისუფლებული ბინა, სადმე ახლოს, ცენტრში, საჭიროა... ხვალ მომახსენე! ვდგები. – დავჯექი! – წიგნი არ გამოგიცია? არა? შეადგინე, მოიტანე... ლავრენტი პავლოვიჩზე ლექსი საჭიროა. მიუძღვენი...ჩვენი მამაა, საქართველო ააშენა, ხომ იცი?

მეორე დღეს მეძახიან ქალაქის საბჭოში, ჯაფარიძის ოცდარვაში, ეზოში, ძველი, მაგრამ ბედაური, ოთახნახევარი, ბელეტაჟზე, ვილაცა ბერძნის ნაქონი, მომცეს. რემონტს დამპირდნენ. შუა ოთახში ძელია ხიდივით გაზოგილი. წვიმის დროს წყალი დგება და ამ ფიცარზე გაივლიო.

*   *   *

მეორე გაზაფხული „ახალი ისტორიული გამარჯვებებით“ დაიწყო. დამთავრდა, ჯერ კიდევ ომამდე დაწყებული, ბათუმის თეატრის შენობის მშენებლობა. გახსნის დღეც დადგა. ხალვაში მიესალმოს მიტინგსო, უთქვამთ ზემოთ.

იქნა ნახევარი გვერდი სიტყვა. ლექსი არ იქნა, სიტყვაც, რაღაცა, ნელთბილი. მაგრამ მიტინგის წინ დაუშვა ბათუმური „ჯეშტერი“ წვიმა (პრეზიდიუმში შალვა დადიანი, დოდო ანთაძე და მაშინდელი „მაგარი ჩეკისტი“ რუხაძე არიან. სხვა, ე.წ. ადგილობრივ უფროსობას ვერ ჩამოვთვლიძ.

მოვიდა ჩემი რიგი. ვლაპარაკობ, არ მისმენენ. რომელიღაც კარი გაიღო, შემოიჭრა წვიმის და ფოთლების ჟრიამული. მივატოვე ტექსტი, – გესმით?! ბათუმის წვიმაც ტაშს გვიკრავს. ასეთ დიდებულ თეატრს წვიმაც ესალმება. – და ამოსკდა ოვაცია, მიტინგის ბოლოს დოდო ანთაძე მომეხვია. რუხაძემ ისე თბილი ალერსით გამომიწოდა ხელი, მიკვირდა – როგორ შეიძლება ამ კაცმა კაცი დახვრიტოს-მეთქი, რასაც იგი ხშირად აკეთებდა.

რამდენიმე თვის შემდეგ, რადიოში გავიგონე – საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მტრული საქმიანობისათვის რუხაძე დააპატიმრესო.

### პირველი ავტობიოგრაფია

ჩემი კრებულისთვის ბიოგრაფია მომთხოვეს. დაბადების წელი, თვე, დღეც, ზუსტი იყოსო. შინ მეუბნებოდნენ, ოცდაოთხის დიდი ზამთარისა ხარო, მევლუდამ, – არა, ზამთარის კი არა, გაზაფხულისა ხარო. გაზაფხული კი უკვე ოცდახუთისა იყოო. თვე? რიცხვი?

სოფლსაბჭო ოცდაშვიდმეტში დაიწვა. ობიექტები (ჩაწერის დავთრებიძ განადგურდა. ისეც, ბაბაი, ზუსტად დაბადების დღეს, იმ დღესვე, ჩააწერინებდა?

ნენეს მივუჯექი, ჩავუდე თავი კალთაში. – ნევ, როის დევბადე, რა თვეში, რა დღეს, გახსოვს?

– რანდა გითხრა, იცი? თვე? თვე, მგონია, მაისია, დღე არ მახსოვს; ისე, ტყემალი დაკაკლული იყო. ეს კარქა მაგონდება...

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-188.**

მეც ავილე და, ავტობიოგრაფიაში, ერთი ყველაზე „მიგდებულ-მიჭიჭყული“ რიცხვი (არავინ ჩემმეტი ისეთ რიცხვში არ დაიბადებოდა-მეთქი, გავიფიქრეძ, 17 მაისი ჩავწერე.

საოცრებაა! – 1925-ის 17 მაისს მე დავიბადე, 1954 წლის 17 მაისს გარდაიცვალა მამაჩემი, ხოლო 1957-ის 17 მაისს დაიბადა ჩემი ვაჟიშვილი, ზაზა!

### მახინჯაურული მოსახლობა

ჰოდა, დიომიდე ხელაძემ, მაშინდელმა ბათუმის რაიკომის მდივანმა, ორმოცდაცხრის გაზაფხულზე დამიძახა და მითხრა, – მახინჯაურში, ზღვაზე გადამდგარ ბორცვზე, კაი ციტ-





რუსისბაღიან კარმიდამოზე სახლია „დაცლილი“, ნახე, თუ მოგეწონება, მოგცემო.

წავიყვანე თუნთულიც და მოვინახულეთ მახინჯაურ-მწვანე კონცხის გასაყართან, მართლაც, ჩვენი ზეგნური სოფლის კარმიდამოსავით, გამოცალკევებულად, მყუდროდ მდგარი, შეძველებულ-შეფეხვილი სახლი. ალაგი, – გადასარევი. იგი მოზიზინე ზღვას გადაჰყურებს. აჭარელი ბიჭია, იქნებ ნამდვილი პოეტი დადგეს, სხვა თუ არა, თავად მაინც დამიფასებსო, – უთქვამს ხელაძეს.

ვიმეორებ: – იყვნენ ასეთი კაცები კომუნისტურ ზემდგომობაში.

– უარის თქმა ცოდვააო, – ჩაიჩურჩულა თუნთულამ, – მარა თანხმობაც რომ ცოდვა გამოდგეს?

მამაჩემმა, ზეგანში, თავის დარგულ-განაზრდ ხეხილს თითო-თითოს, ცალ-ცალკე ხელი შეავლო, ლოყა მიადო, გამოემშვიდობა.

ზღვისპირული სველცივა შემოდგომა, თანაც უბუხროდ, მისი მოტანილი მუხის ჯირკების გარეშე, შეუჩვეველ უცხო სახლში, ბაბას არ მოეწონა.

იქით, ლობესთან, დიდი წაბლი იდგა, დაწონწილი ბუჯგები უჩანდა. ზოგი პირდაღებულიდან წაბლის კაკლები ცვიოდა ძირს და მუშტისხელა შავი წაბლები მიწაზე გორაობდა. ბავშვები ქვებს ესროდნენ წაბლიხეს. მამაჩემი შეეხვეწა, ქვას ნუ ესვრით, თავისითაც ცვივაო.

ბავშვებმა, – რას ჯავრობ, შენი დარგული ხომ არააო. ბაბამ თავი ჩაჰკიდა. ჩაფიქრებული შინისკენ წამოვიდა. იმ საღამოსვე მითხრა: – შვილო, მე აქ ველარ დავდგები. ნუ გეწყინება. მე დავბრუნდენა ჩემი დარგული ჰაცხანაცააო. აქ, სხვის დარგულებთან ვერ ვიქნებიო.

ის ზამთარი ხათრით გავაძლებინე. გაზაფხულზე კი, ნენე და ბაბა ისევ მთაში გამომეპარნენ. მალე მე და თუნთულმაც მივატოვეთ იქაურობა.

### გალაკტიონთან ახლო

ორმოცდათერთმეტის დეკემბერი. მზიანი დღე. მწერალთა ჩვენს განყოფილებას ანდრო თევზაძე ჩაუყენეს. „მთვარე თბილისში დავტოვე გუშინ, თურმე მოსკოვში გამომყოლია“, – ამბობს ერთ ლექსში.

– გალაკტიონ ტაბიძეა აქ, გამოდი პირველ საათზე, ბულვარში, სურათი გადავიღოთ მასთან ერთადო. – მირეკავს ანდრო. იქ იყო ილია რურუაც, თეთრი კოლონადებისკენ მიდიოდნენ. წამოვეწიე. შედგნენ. გალაკტიონიც მობრუნდა (პირველად რომ დავინახე, 1944-ში, უწვერული, ახლა თითქოს ის აღარ იყო. წვერებიანი უფრო ბუმბერაზი ჩანდა. ლომის მოხედვა ჰქონდა. რაღაც ბიბლიური მინიჭებოდა. „ინტურისტში“, სადილზე გალაკტიონი ჰყვებოდა უამრავ საინტერესოს. პარიზში ყოფნა გაიხსენა, პარიზში კი დიდი ქარიშხლის მიერ მოგლეჯილი ბულონის მწოლიარე ხეები. ეს ამბავი ხომ დაუვიწრად დახატულია ლექსში, „ჩემს იქ ყოფნაში საფრანგეთის აკადემიას უსრულდებოდა არსებობის წელი სამასი...“

ევროპული ქალაქების პარკები ჩვენებურს შეუდარა. იქაო, პარკი თუ ბაღი მუზეუმივითააო. ბევრი მსმენია მის ღვინისმსმელობაზე. აქ კი მოწრუპავდა ჭიქიდან, დადგამდა. საჭმელსაც ყველაზე ცოტას მიირთმევდა. მასთან ვისხედით, მაგრამ თავად, გალაკტიონი თითქოს სხვაგან იყო.

*   *   *

სადილი „ინტურისტში“, გალაკტიონთან ერთად, არ მავიწყდება.

კი, ქალი ახლდა, თუმცა ცოლიაო, არავინ ამბობდა. არც სახელი მახსოვს იმ ქალისა.

თეატრისკენ სვლისას, მე იმ ქალთან ერთად, უკან, მივსაუბრობდით. ერთგან ქალმა შემომჩივლა, აუტანელიაო, ძნელი მოსავლელიაო, არაფერს მიჯერებსო. და, ჩემდა მოულოდნელად, ხელზე იმხელა ფრჩხილებს რატომ არ იჭრის-მეთქი, ვკითხე. – უი, როგორ უხსენებ ფრჩხილს! (აფორიაქდა ქალიძ. მოვინდომე ერთხელ, ძილში, ჩუმად დავაჭრი-მეთქი. კარგი, მჭრელი მაკრატლით, ფრთხილად... ორ თითზე მოვაჭერი, მესამეზე რომ გადავედი, უცებ გამოიღვიძა, იყვირა: – ხალხო, თითებს მაჭრიანო. შიშით მივიმალე.

დარბაზი სკასავით ზუზუნებდა. ბევრი უადგილო ფეხზე იდგა. სცენაზე, საპრეზიდიუმო მაგიდასთან ბათუმის რჩეულთა შუა გალაკტიონი დააბრძანეს. გვერდით მე დამსვეს, როგორც წამყვანი.

რამდენს, ალბათ, ჩემი შურდა, ან უკვირდა – რატომ მას, არა სხვასო. მე კი იმ წუთებს თავისუფალ მაყურებლად დარბაზში ჯდომა მერჩია. ვღელავდი. იმდენ ხალხს ზემოდან, ასე პირისპირ, პირველად ვუყურებდი დამთელი ის გადაჭედილი ზალაც, იმდენი მოგიზგიზე თვალი, მომჩერებოდა მე.

ვიღაც ოლქკომელმა უფროსმა (არ მახსოვს, რომელი იყოძ ქვემოდან, წინა რიგიდან, წარბების მაღლა აქნევით მანიშნა, რას უცდი, შენზეა ახლა, ადექი, დაიწყეო. ვატყობდი, ჩემს დაბნევა-დაძაბულობას დარბაზიც განიცდიდა. ჰოდა, როგორც კი წამოვდექი, ბევრმა, გავიგონე, შვებით ამოიგმინეშა.

დაწერილი მქონდა, მაგრამ რვეულიდან ამოფრეწილი ის ერთი ჟვერი, საგანგებოდ გულის ჯიბეში შემალული, ახლა ველარ მოვნახე. ერთი რამ გავიხსენე მარტო, როგორმე არ გამომრჩენოდა მისი წოდების – საქართველოს სახალხო პოეტის – განცხადება. ასეც მოვიქეცი.

– ამხანაგებო, საქართველოს სახალხო პოეტ გალაქტიონ ტაბიძესთან შეხვედრისადმი მიძღვნილ საღამოს გახსნილად ვაცხადებ! – როგორღაც, ყველას გასაგონად ვთქვი და მაშინვე ოვაციის ქუხილში მთელი თეატრი ფეხზე წამოიჭრა.

ნუ გამამტყუნებთ, რომ ეს ამბავი ასე წვრილად მოვყევი. კი არ ვიწონებ თავს, პირიქით, ჩემი ფორიაქი და საცოდაობა გავიხსენე.

რა საინტერესოა: ახლა წერისას, ვფიქრობ, ის, მაშინ, ჩემზე ოცდაათზე მეტი წლით უფროსი იყო. ახლა კი მე მასზე უფროსი ვითქმები 15-ზე მეტით. თუმცა გალაკტიონი, ახლაც და მაშინაც, ალბათ, ასი წლით მაინც უფროსია.

რადიოში „უკანასკნელი ცნობების“ რედაქტორად ვიყავი. შოშია ჩხაიძე, უბრალოდ, კორესპონდენტობდა, ერთ დღეში თხუთმეტი-ოცი სხვადასხვა ინფორმაცია მოჰქონდა, ნაკუწა ქაღალდებზე ფანქრით, ძალიან წვრილად და ძალიან გაუგებრად დაწერილები. სტრიქონებიც, ხან აღმა გაუჭენდებოდა, ხან – თავდაღმა. სწორება – ნაკლებად, მაგრამ ასო-ასო ამოკრეფა-გადაწერა მაინც სჭირდებოდა, სხვანაირად, მის დაწერილს ჯინიც ვერ ამოიკითხავდა. ასე, ათი ცალი მისი ინფორმაცია მაინც უნდა ჩამეყოლებინა იმ დღის გადაცემაში. კაიგაყოლა ჰონორარი გამოუდიოდა (მერე, ქვეშეპარებულ ანტისაბჭოური კბენებით განთქმულ, ბევრგან დადგმულ თავის პიესებსაც, იმ რადიოინფორმაციებივით, აღმა-დაღმა აფუსკულ-დაფუსკული, ძლივსამოსახსნელი ასოებით ჩააპიწკინებდა. სულ მიკვირდა, მემანქანეები თუ რეჟისორები ამ სტრიქონთა ბუძგნარებიდან როგორ ამოიკითხავდნენ რაიმე აზრს-მეთქი. თუმცა, ისე შიოდათ მაშინდელ თეატრებს ცხოვრების მართალი სიმართლეები, შოშიას, თავისი პიესებით, მთელი საბჭოეთი დაეძებდა.

მისალმებებს რომ ისმენდა, გალაკტიონი დარბაზს ხარბად გადაჰყურებდა. ცალი ხელი თავის 100-მანეთიან ტომეულზე ედო. და, აი, დადგა წუთი, როცა თვით გალაკტიონი უნდა მივიპატიჟო ტრიბუნაზე.

– ძვირფასო ამხანაგებო! სიტყვა ეკუთვნის საქართველოს სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს! ვამბობდი, თან უსაზღვროდ მსიამოვნებდა, რომ ჩემი მიწვევით, ახლა, წამოდგება და ტრიბუნისკენ წავა გალაკტიონი!

წამოდგა თუ არა, სავსე დარბაზიც წამოდგა. წიგნი ტრიბუნაზე წინ დაიდო, დარბაზს გადახედა, დაელოდა ხალხის დაცხრომას. ამაღლებულ კმაყოფილებას ვერ მალავდა. რაღაც უთხრა დარბაზს. იქვე მსხდომებმა ვერც გავარჩიეთ – რა. წიგნს ხელი მოუსვა, თითები, გვერდიდან, თაბახის შუაგულს მიაბჯინა – რაც მომყვება, იმას წავიკითხავო. გაშალა და, „მთაწმინდის მთვარე“ მოჰყვა.

**(გაგრძელება იქნება)**

№ 189. სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● პუტინს, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ საქმე სისხლისღვრამდე არ მივა, სააკაშვილმა ურჩია შეენარჩუნებინა სიმშვიდე: „საქართველოს არ სჭირდება არავის რეცეპტები, მით უმეტეს – რუსეთისა...



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## პუტინს სთხოვეს, შეინარჩუნოს სიმშვიდე

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ დუშანბეში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტზე, სერიოზულად მოელაპარაკება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს. და თუ ვიმსჯელებთ ყოველივე იმით, რისი ანონსირებაც მოხდა შაბათს, კოდორის ხეობაში ახალი გზის გახსნაზე სააკაშვილის გამოსვლის დროს, ალბათ, ეს მოლაპარაკება ვერ გახდება ორი ქვეყნის ურთიერთობების დათბობის გადადგმული ნაბიჯი.**

იქ, ზემო აფხაზეთის მთებში, საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთი ფაქტობრივად დაადანაშაულა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში, და არ გამოურიცხავს, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, შესაძლოა მოსკოვიდან იყოს პროვოცირებული. ასეთი დასკვნა სააკაშვილმა გამოიტანა პუტინის სიტყვებიდან, რომელმაც პარასკევს კომენტარი გააკეთა მეზობელ ქვეყანაში შექმნილი შიდაპოლიტიკური ვითარებისა და იქ დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ.

პუტინს, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ საქმე სისხლისღვრამდე არ მივა, სააკაშვილმა ურჩია შეენარჩუნებინა სიმშვიდე: „საქართველოს არ სჭირდება არავის რეცეპტები, მით უმეტეს – რუსეთისა... ჩვენ უკვე მივიღეთ თქვენი წამალი ექიმების გამოწერილი რეცეპტებით და იგი საწამლავი აღმოჩნდა“.

„აფხაზეთის შუაგულიდან“, სწორედ ასე უწოდა თავის გამოსვლაში სააკაშვილმა კოდორის ხეობის ამ ნაწილს, საქართველოს პრეზიდენტმა ბევრი ილაპარაკა საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული განსხვავების შესახებ. „საქართველოში არის კანონის უზენაესობა, არის თავისუფალი პრესა. ყველას შეუძლია გამოვიდეს ნებისმიერი ტელევიზიით და გააკრიტიკოს ყველა, უწინარეს ყოვლისა – საქართველოს პრეზიდენტი. რუსეთის ტელეარხებით კი უკვე კარგა ხანია არ მსმენია ასეთი კრიტიკა მათი ლიდერის მისამართით“, – თქვა მან. და იქვე დააზუსტა: „როცა რუსეთში ქუჩებში გამოდის 100 კაცი, მათ გასაფანტავად გამოჰყავთ 20 ათასი სპეცნაზელი. საქართველოში კი თავისი აზრის გამოხატვა თავისუფლად შეუძლია ყველა მოქალაქეს“.

სააკაშვილის აზრით, ამ ორ ქვეყანას შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა. „რუსეთში სახელმწიფო მოხელეები ერთთავად იღებენ ქრთამებს, მთლიანად არიან ჩაფლული კორუფციაში. საქართველოში კი ქრთამს არ ვიღებთ, და თუ ვინმე აიღებს კიდეც, პასუხს აგებს კანონის წინაშე. ასეთი მხილების საფუძველი გახდა ის, რომ მაშინაც კი, როცა ნავთობის ფასი 80 დოლარს აღწევს, ეკონომიკური ზრდის ტემპი რუსეთში 2,5-ჯერ ჩამორჩება საქართველოსას“.

კიდევ ერთხელ სცადა რა პუტინის დამშვიდება, სააკაშვილმა გაიხსენა, რომ ამ წელიწადნახევრის წინათაც „ეს ჩვენი მეგობარი დიდ შეშფოთებას გამოთქვამდა ქართველი ხალხის ბედის გამო, უკვე მეორე დღეს კი რუსებმა აკრძალეს თავიანთ ქვეყანაში ქართული ღვინოების შეტანა“. რუსეთის ემბარგო პრეზიდენტმა გაიხსენა მაშინ, როცა შეეხო კახეთში მიმდინარე რთველს. მისი თქმით, საქართველოს ამ რეგიონში მოუხშირეს სტუმრობას ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა. საქართველოს მტრების ანგარიში მარტივია: გამოიყენონ მევენახეთა წინაშე არსებული სოციალური სირთულეები, გამონახონ მოღალატეები ქვეყნის შიგნით და „ყველაფერი შეაბრუნონ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“. მაგრამ ხალხი, მიაჩნია სააკაშვილს, უფრო ბრძენია: მევენახეებმა შეიგნეს, თუ სინამდვილეში რა სურთ მათგან ოპოზიციონერებს. „ამ ადამიანებმა კარგად გაიგეს, რომ მათი ჩივილი და უკმაყოფილება მხოლოდ განამტკიცებს იმათ პოზიციას, ვინც შემოიღო ჩვენს მიმართ ემბარგო“. „ის, რომ კახეთში ასე კარგად მიმდინარეობს რთველი, არის ხალხის პასუხი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ღვრიან ცრემლს ქართველი ხალხის ბედის გამო, შესტკივათ გული მისი გადაშენებისა და შემდგომი არსებობისთვის... მათ ძალზე უყვართ საქართველო, მაგრამ ცხინვალის, სოხუმის და კიდევ ოთხი-ხუთი ტერიტორიის გარეშე... ქართველებს კი, რომლებიც დადგნენ ფეხზე, გახდნენ თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები, ისინი მიიჩნევენ რაღაც არასწორ და არაბუნებრივ მოვლენად“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

შეეხო რა ქვეყნის სხვა მტრებს, სააკაშვილმა მათ ურჩია გაითვალისწინონ, რომ ახლა მსოფლიოს საქმე აქვს „სულ სხვა საქართველოსთან, სხვა გამოცდილებასთან და ძალასთან“.

და ეს სხვა საქართველო, შეპირდა დამსწრეთ პრეზიდენტი, დაიბრუნებს ყველაფერს რაც კი დაკარგულია. როგორც მან თქვა, გზა რომელიც გაიყვანა კოდორის ხეობაში არის „სოხუმისკენ... ქვეყნის გაერთიანებისკენ მიმავალი გზა“. **„პირობას გაძლევს, რომ საქართველოს გავაერთიანებთ ჯერ კიდევ ჩემი პრეზიდენტობის დრო“, – თქვა სააკაშვილმა, თუმცა არ დაუზუსტებია, როდის მოხდება ეს – მომავალ წელს, როცა უკვე იწურება მისი უფლებამოსილების პირველი ვადა, თუ მეორე საპრეზიდენტო ხუთ წელში.**

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## ქართული დემოკრატიის ნიმუში

**თბილისში მიმდინარე მოვლენების განმარტებისას, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შენიშნა, რომ დასავლეთში საქართველო, ისევე როგორც ის მთელი რიგ სხვა ქვეყნები, რომლებშიც ფერადმა რევოლუციებმა გაიმარჯვეს, ხშირად მოჰყავთ როგორც „ჭეშმარიტი დემოკრატიის“ მაგალითი და იქვე ირონიულად დასძინა: „ღმერთმა დაგვიფაროს, ასეთი მაგალითებისგან“.**

მთელ ამ ისტორიაში გაკვირვებას იწვევს ვაშინგტონის პოზიცია, რომელიც კრინტსაც არ ძრავს ქვეყნის ყოფილი თავდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებების თაობაზე, რომელმაც კორუფციაში ამხილა საქართველოს ხელმძღვანელობა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობდა პოლიტიკურ მკვლელობათა ორგანიზებაში. ვაშინგტონიდან პროტესტის ხმა არ გაისმის არც ოქრუაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალი დასდეს კორუფციასა და რეკეტში. სანამ ეს ადამიანი სკანდალური შინაარსის განცხადებას გააკეთებდა, მას არავინ ერჩოდა. ოქრუაშვილის სისხლის-სამართლებრივ დევნაში აშკარად შეინიშნება პოლიტიკური სარჩელი და შერჩევითი მართლმსაჯულების გამოყენება (სააკაშვილთან დაახლოებული პირების მიმართ, რომლებიც ყოფილმა მინისტრმა კორუფციაში დაადანაშაულა,



არანაირი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

მაგრამ შეერთებულ შტატებში არ ჩქარობენ შეშფოთების გამოთქმას საქართველოში ოპოზიციის დევნისა და სააკაშვილის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ ანგარიშსწორების მიზნით სამართალდამცავი სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო დეპარტამენტმა მხოლოდ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება კანონის შესაბამისად იმოქმედებს. რა თქმა უნდა, ეს ასე მოხდება, ისინი ხომ აკონტროლებენ მთელ სასამართლო სისტემას, რადგან უკვე კარგა ხანია დაითხოვეს სააკაშვილის პოლიტიკით უკმაყოფილო მოსამართლეები.

„დემოკრატიის ნიმუში“, როგორც საქართველოს მაგალითით ამის წარმოჩენას ცდილობდნენ ამერიკელი პოლიტიკოსები, თვალის დახამხამებაში დაიმსხვრა. გაირკვა, რომ ქვეყანას, თურმე ხელმძღვანელობს დემოკრატი-პრეზიდენტი, რომელიც არ თაკილობს იმას რომ თავდაცვის მინისტრთან ერთად იმსჯელოს ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესმენის ფიზიკური ლიკვიდაციის შესაძლებლობაზე. გაირკვა ისიც, რომ „დემოკრატიულ საქართველოში“, თურმე შეიძლება, უბრალოდ, მოკლან პრემიერ-მინისტრი.

ძნელი სათქმელია, თითქოს ვაშინგტონში არ იცოდნენ, როგორი დემოკრატია ყვაოდა საქართველოში. სამართალქომაგთა საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ ყოველწლიურ მოხსენებებში რეგულარულად ამახვილებენ ყურადღებას ადამიანის უფლებების დარღვევებზე, სააკაშვილის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების სისხლისსამართლებრივ დევნაზე, დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩახშობაზე. მაგრამ ადამიანის უფლებათა შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ მოხსენებებში, რატომღაც ამ მონაცემებს არავინ ითვალისწინებდა. მაშინ როცა რუსეთთან დაკავშირებით გაცილებით უფრო მცირე დარღვევებსაც კი წარმოაჩენდნენ ისე, თითქოს ეს იყო „დემოკრატიის ჩახშობა“: საგადასახადო დანაშაულობათა გამო ხოდორკოვსკის დაპატიმრება, რომელიც ცდილობდა პარლამენტის მოსყიდვას, თურმე დემოკრატიისათვის წარმოადგენდა საფრთხეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მკვლელობა კი დემოკრატიის აყვავებას მიანიშნებს.

რატომ ხდება, რომ ვაშინგტონში ამჯობინებენ თვალი დახუჭონ სააკაშვილის „უცნაურ ქცევაზე“ და კვლავ ამტკიცებენ, რომ „უჭერენ მხარს საქართველოში დემოკრატიას“? აშკარაა, რომ ეს დემოკრატიის გამო არ ხდება. სააკაშვილს მხარს უჭერენ იმიტომ, რომ იგი ამერიკელებს სჭირდებათ როგორც რუსეთის გამღიზიანებელი, როგორც რუსეთის ფედერაციის სამხრეთ საზღვრებზე დაძაბულობის დესტაბილიზაციის ფაქტორი. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მიზეზი – ნავთობსადენები. საქართველო ძირითადი ელემენტია ვაშინგტონის სისტემაში, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთის ბაზრებზე კასპიის ზღვის და შუა აზიის ენერგორესურსების მიწოდებას ეგრეთ წოდებული ალტერნატიული მარშრუტებით. **საქართველოს გაკონტროლებით, ამერიკელებს შეიძლება მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ დროთა განმავლობაში დაუწესონ კონტროლი რუსეთის გვერდის ავლით ევროპაში ენერგომატარებლების დიდ მიწოდებას, რაც უეჭველად შეასუსტებს რუსეთის პოზიციებს. ამიტომაც გასაგებია, რომ საქმის ასეთ პირობებში ამერიკელები უბრალოდ ვერ შეაქცევენ ზურგს სააკაშვილს.**

**იგორ ნიკიტინი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

№ 189. სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

# დედამიწის ზურგზე

● უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ბიულეტენების 38 პროცენტის დამუშავების შემდეგ ლიდერობს იულია ტიმოშენკოს ბლოკი

## იაპონიის პრემიერ-მინისტრი რუსეთთან ტერიტორიული კავშირის განმტკიცებას მხარს უჭერს



**იაპონიის პრემიერ-მინისტრი იასუო ფუკუდა აპირებს, რომ დიდი ძალისხმევა მოახმაროს რუსეთთან კავშირურთიერთობის განვითარებას და ამ ქვეყანასთან არსებული ტერიტორიული სადავო საკითხების მოგვარებას; იგი ასევე ეცდება გამოძებნოს „საერთო სტრატეგიული ინტერესები“ ჩინეთთან, მაგრამ ქვეყნის დიპლომატიის საფუძვლად მაინც მიაჩნია მჭიდრო კავშირი შეერთებულ შტატებთან.**

პარლამენტის ქვედა პალატის პლენარულ სხდომაზე თავის პირველ საპროგრამო სიტყვაში პრემიერმა ასევე განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკის დარგში ტოკიოს „ყველაზე გადაუდებელ ამოცანად“ მიაჩნია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ირგვლივ წარმოქმნილ პრობლემათა რაც შეიძლება სწრაფად მოგვარება და ინდოეთის ოკეანეში, შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედ მრავალეროვნული ესკადრის შემადგენლობაში იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების მისიის უზრუნველყოფა.

„მე ვაპირებ განვამტკიცო კავშირურთიერთობა რუსეთთან და ამავდროულად ვიმუშაო ჩრდილოეთი ტერიტორიების პრობლემების გადაჭრაზე“, – თქვა ფუკუდამ პარლამენტში გამოსვლისას.

სსრ კავშირ-იაპონიას შორის 1956 წლის 19 ოქტომბერს დადებულმა ერთობლივმა დეკლარაციამ შეწყვიტა ამ ორი ქვეყნის სამხედრო დაპირისპირება, მაგრამ საზავო ხელშეკრულება დღემდე არ არის ხელმოწერილი იმის გამო, რომ მხარეთა პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევა ომისშემდგომი საზღვრების გამიჯვნის საკითხებში.

იაპონიის მხარე გამოთქვამს პრეტენზიას სამხრეთ კურილის კუნძულებზე – კუნაშირზე, იტურუპზე და მცირე კურილის ჯაჭვზე და თავისი პოზიციის განსამტკიცებლად ეფუძნება რუსეთ-იაპონიის 1855 წლის ტრაქტატს ვაჭრობისა და საზღვრების შესახებ, რომლის თანახმადაც ზემოაღნიშნული კუნძულები იაპონიის კუთვნილებად იყო აღიარებული. ტოკიო ამ მოთხოვნას მიიჩნევს წანამძღვრად რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისთვის.

მოსკოვს არაერთგზის განუცხადებია, რომ მზად არის წარმართოს მოლაპარაკება 1956 წლის დეკლარაციის ორივე ქვეყნის პარლამენტების მიერ ერთობლივი რატიფიკაციის საფუძველზე, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, რუსეთი მზად არის განიხილოს იაპონიისთვის შიკოტანის კუნძულის და ჰაბომაის არქიპელაგის გადაცემის შესაძლებლობის საკითხი“.

ამ ბოლო ხანებში გააქტიურდა მოსკოვისა და ტოკიოს ურთიერთობა, რაც განსაკუთრებით ეხება ეკონომიკის სფეროს. ამასთან დაკავშირებით, იაპონიის ხელისუფლების გეზი, რომელსაც წინათ ეკავა უკომპრომისო პოზიცია და რუსეთთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებას უკავშირებდა ტერიტორიული სადავო საკითხების მოგვარებას, ახლა საგრძნობლად შერბილდა. იაპონიაში მთელი რიგი ავტომწარმოებლები მზად არიან, რომ უახლოეს წლებში ააშენონ თავიანთი ქარხნები რუსეთში. იაპონიის მხარე ასევე გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მოაწეროს ხელი სამთავრობათშორისო შეთანხმებას ატომის მშვიდობიანი გამოყენების სფეროში. ასევე იზრდება საქონელბრუნვა ორ ქვეყანას შორის.

პრემიერი აგრეთვე აპირებს, რომ ძალ-ღონე არ დაიშუროს სპარსეთის ყურის ზონაში ამ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების მისიის გახანგრძლივებისთვის, სადაც იაპონელები სათბობით ამარაგებენ შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედ მრავალეროვნულ დაჯგუფებას.

იაპონიის ოპოზიცია, რომელსაც აქვს უმრავლესობა პარლამენტის ზედა პალატაში, მოითხოვს ხომალდების შინ დაბრუნებას, რამაც, შესაძლოა, მძიმე დარტყმა აგემოს ტოკიოს და ვაშინგტონის ურთიერთობას.

შეგახსენებთ, რომ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სინძო აბეს გადადგომის ოფიციალური საბაბი გახდა ის, რომ ქვეყნის მთავრობამ ვერ შეძლო ავღანეთში შეერთებული შტატების ჯარებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევის მანდატის გახანგრძლივება.

იაპონიის მინისტრთა კაბინეტი მიმდინარე წლის 25 სექტემბერს სრული შემადგენლობით გადადგა. მთავრობის ყველა წევრი პრემიერ-მინისტრ სინძო აბესთან ერთად შეიკრიბა ტოკიოს ცენტრში მდებარე პრემიერის რეზიდენციაში, სადაც ოფიციალურად მოიხსნეს უფლებამოსილებანი.



## იულია ტიმოშენკო უკრაინის პრემიერობისთვის მზად არის

**იულია ტიმოშენკომ, მისივე სახელობის საარჩევნო ბლოკის ლიდერმა, კიევში გამართა პრესკონფერენცია, როგორც უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტის ყველაზე სავარაუდო კანდიდატმა. ამის უფლებას ტიმოშენკოს აძლევს კვირას გამართული უკრაინის პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგები.**

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ბიულეტენების 38 პროცენტის დამუშავების შემდეგ ლიდერობს იულია ტიმოშენკოს ბლოკი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 33,6 პროცენტი მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან რეგიონების პარტია (30,3ძ, ნაშა უკრაინა-ნაროდნაია სამოობორონა (ქვეყნის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს მომხრეთა პარტიაძ – 15,7 პროცენტი.

რადაში მოხვედრის შანსი აქვთ ასევე უკრაინის კომპარტიას (5,16 პროცენტიძ ლიტვინის ბლოკს (4,28ძ და სოცპარტიას (3,32ძ. დანარჩენმა პარტიებმა ვერ მოაგროვეს ამომრჩეველთა ხმების 3 პროცენტი, რაც აუცილებელია პარლამენტში მოსახვედრებლად.

„არანაირი ეჭვი არ მეპარება იმაზე, თუ როგორ იქნება კოალიცია პარლამენტში, – განაცხადა ტიმოშენკომ. – ვთხოვ პრეზიდენტს, დაიწყოს კოალიციისა და ხელისუფლების ყველა ორგანოს ჩამოყალიბება“.

ტიმოშენკოს იმედი აქვს, რომ მთავრობის ფორმირება მოხერხდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში.

„საჭიროა, რომ დემოკრატიულმა ძალებმა გაამართლონ ის ნდობა, რომელიც მათ უკვე მესამედ მოიპოვეს. იმედი მაქვს, რომ ამ ნდობას გავამართლებთ“, – აღნიშნა იულია ტიმოშენკომ.

ქვეყნის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს მხარდამჭერთა პარტიის ლიდერმა იური ლუცენკომ განაცხადა, რომ მისი პარტია მხარს დაუჭერს პრემიერის პოსტზე ტიმოშენკოს კანდიდატურას. თავის მხრივ, ტიმოშენკომ თქვა, რომ უზენაესი რადის სპიკერის თანამდებობას, სავარაუდოდ, დაიკავებს ნაშა უკრაინა-ნაროდნაჭ სამოობორონა პარტიის წარმომადგენელი.

მან ასევე განაცხადა, რომ აპირებს უახლოეს მომავალში ვიზიტად ეწვიოს მოსკოვს.




## „დადგა დრო, ირანს დარტყმა მივაყენოთ“

**შეერთებული შტატების ყოფილ ელჩს გაეროში ჯონ ბოლტონს მიაჩნია, რომ ამოიწურა ირანის პრობლემის გადაჭრის დიპლომატიური გზები და ახლა ძალისმიერი მეთოდების დრო დადგა. მაგრამ, როგორც ექს-ელჩმა თქვა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თვით ამ „პრობლემის წყაროს აჰმადინეჯადის ლიკვიდაცია“.**



გლობალური სტრატეგიული ფორუმის ფარგლებში ორგანიზებულ მიტინგზე გამოსვლისას ბოლტონმა თქვა: „აჰმადინეჯადი გვიტევს და მას არ ხვდება დასავლეთის მხრიდან სათანადო წინააღმდეგობა“.

ის მთელი რიგი წარუმატებლობები, რომლებმაც დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირმა განიცადეს ირანელ დიპლომატებთან მოლაპარაკების დროს, ბოლტონის აზრით, მოწმობს, რომ ირანის ბირთვული ობიექტებისათვის ჰაერიდან პრევენციული დარტყმების მიყენებას ალტერნატივა არ აქვს.

„არა მგონია, რომ სამხედრო ძალის გამოყენება მიმზიდველი ვარიანტი იყოს, მაგრამ უნდა გითხრათ: სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ. მიმაჩნია, რომ ყველაზე მისაღები ვარიანტი იქნება ირანის ბირთვული ობიექტებისათვის ჰაერიდან შეზღუდული დარტყმების მიყენება“, – მოჰყავს ბრიტანულ გაზეთ „გარდიანს“ ბოლტონის სიტყვები.

გაეროში შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა განაცხადა, რომ ჰაერიდან დარტყმების მიყენებას წინ უნდა უსწრებდეს თვით ამ პრობლემის წარმომქმნელი წყაროს – აჰმადინეჯადის ლიკვიდაცია. „თუ ჩვენ მივაყენებთ დარტყმებს ირანს, იქ რეჟიმის შეცვლაზეც უნდა ვიზრუნოთ. თავის დროზე შეერთებული შტატები საიდუმლოდ გეგმავდა სახელმწიფო გადატრიალებებს, და გული მწყდება იმაზე, რომ ამ პრაქტიკასთან დაბრუნება შეუძლებელია“.

## გარდაიცვალა სერბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი

**30 სექტემბერს, გულის შეტევის შედეგად, 51 წლის ასაკში გარდაიცვალა ბოსნიისა და ჰერცეგოვინას შემადგენლობაში შემავალი სერბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი მილან ელიჩი, რომელმაც ამ პოსტზე ერთ წელიწადზე ნაკლები დაჰყო.**

გულის შეტევა ელიჩს დაემართა მაშინ, როცა იგი შინ იყო და ტელევიზიით თვალყურს ადევნებდა ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟს. მილან ელიჩი, რომელიც წარსულში პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, სათავეში ედგა ბოსნიის ფეხბურთის ასოციაციას.

ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შემადგენლობაში შემავალი სერბთა რესპუბლიკის პრეზიდენტად იგი აირჩიეს 2006 წლის ოქტომბერში. პრეზიდენტი იქ უფრო წარმომადგენლობითი თანამდებობაა, რადგან რეალური ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას და, უწინარეს ყოვლისა, პრემიერ-მინისტრს.

მილან ელიჩი დაიბადა 1956 წელს. იგი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი იყო. 13 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქალაქ მოდრიჩის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას.

პოლიტიკური კარიერა დაიწყო სერბეთის დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში, რომელიც ჩამოაყალიბა სერბეთის პრეზიდენტმა რადოვან კარაჯიჩმა, ადამიანმა, რომელიც ამჟამად იძებნება სამხედრო დანაშაულობათა ჩადენის გამო.



მაგრამ, 1998 წელს ელიჩი გადავიდა დემოკრატიულ-სოციალისტურ პარტიაში, რომელიც ამჟამად ყველაზე გავლენიანი პარტიაა რესპუბლიკაში.

პრეზიდენტის პოსტზე არჩევამდე ელიჩი მუშაობდა სერბთა რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკის, ენერგეტიკისა და მშენებლობის მინისტრად.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ ვინ დაიკავებს მთავრობაში გარდაცვლილი პრეზიდენტის ადგილს. შესაძლო კანდიდატთა შორის ასახელებენ დრაგან კავიჩს, ბოსნიის რესპუბლიკის ექს-პრეზიდენტს და სერბეთის დემოკრატიული პარტიის წევრს, რომელიც 2006 წლის პრეზიდენტის არჩევნების დროს დამარცხდა მილან ელიჩთან ბრძოლაში.

№ 189. სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

# სულის ეროზია

● ახალგაზრდა სილნაღის რაიონიდან აღმოჩნდა და ისიც გამიმხილა, რომ მთელი მისი სამეგობრო სექსუალურ მოთხოვნილებებს სწორედ ამ დაწესებულებაში იკმაყოფილებს, რის გამოც დედოფლისწყაროში ჩასვლა ხშირად უხდებათ



◎ პროსტიტუცია

(მეექვსე გვერდიდან)

ახლა მათ გარეგნობაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. პირველი, სავარაუდოდ, 40 წელს გადაცილებული უნდა იყოს, სილამაზეზე საუბარი ზედმეტია, თმები ყვითლად შეუღებია, ვერ იტყვი, რომ უხდება, ამიტომ ის დავიწუნე. მეორე 23 წლის შორენა გახლდათ, არც ისე მაღალი, ვერ იტყვი, რომ მომხიბლავია, შემოთავაზებულ მესამე ვარიანტსაც სჯობია, ამიტომ შორენას ვირჩევ...

ნათია ერთ პატარა ოთახში შეგვიძღვა და სულ მალე, მარტო დაგვტოვა. „ხრუშჩოვკის" ტიპის პატარა ბინაა, ორი პაწია ოთახით, ძველისძველი რემონტით და მორყეული საწოლით... თეთრეული საკმაოდ დაბინძურებულია, ერთი სიტყვით, ისეთი გარემოა, რომ კაცს ყველაფრის სურვილი დაგეკარგება... ასეთი თეთრეულის გამო, გოგონამ მორცხვად მომიბოდიშა, „ალბათ, გამოცვლა დაავიწყდათო..." საწოლის ფეხთან მიყრილი ნახმარი პრეზერვატივებიც შევნიშნე... გოგონამ თამამად განაცხადა, მშობლებს ჰგონიათ დედოფლისწყაროში დასასვენებლად ვარ, მაგრამ ქმარს გავცილდი და აქ ვმუშაობო, დღეში სამ-ოთხ კაცს ვისტუმრებ, ზოგჯერ სხვა გოგონებს ირჩევენ. საგულისხმოა, რომ გოგონა კლიენტის ხუშტურებს თითქმის არ თანხმდებოდა და ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორსაც თავად მოისურვებდა. ამით უკმაყოფილებას კლიენტებიც ღიად გამოხატავდნენ.

რაიონში აქტიურად ლაპარაკობენ, რომ ტერტერაშვილის მეძავებით თავად დედოფლისწყაროელი პოლიციელებიც ხშირად სარგებლობდნენ და მათი მეშვეობით კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანების კვალზეც გადიოდნენ.

ამას წინათ, ერთ-ერთ ინტერნეტ საიტზე შემოსული ახალგაზრდა კაცი ზედმეტსახელით „კახელი", სექსუალურ პარტნიორს ეძებდა, დამაინტერესა, იქნებოდა თუ არა საქმის კურსში და სიტყვა დედოფლისწყაროში არსებულ „ელიკოს ბორდელზე" ჩამოვუგდე, მისმა პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ახალგაზრდა სილნაღის რაიონიდან აღმოჩნდა და ისიც გამიმხილა, რომ მთელი მისი სამეგობრო სექსუალურ მოთხოვნილებებს სწორედ ამ დაწესებულებაში იკმაყოფილებს, რის გამოც დედოფლისწყაროში ჩასვლა ხშირად უხდებათ. დედოფლისწყაროში არსებულ არაოფიციალურ საროსკიპოში ახალგაზრდა ბიჭები მთელი კახეთიდან ჩადიან.

## დედოფლისწყაროში „ელიკო მამიდას" საროსკიპოს პოლიცია ლობირებდა?!

„ისევე, როგორც მთელმა კახეთმა, მეც ვიცოდი მათი საქმიანობის შესახებ. ელიკოს საროსკიპოში ერთხელ ვარ ნამყოფი. ჩვეულებრივად, ხუთი ლარი გადავიხადე და უპრობლემოდ შევედი. მსმენია, რომ ხშირად იყო სხვადასხვა დაავადებების გავრცელების შემთხვევები, რადგან ისინი არანაირ ჰიგიენურ მოთხოვნებს არ იცავდნენ...," — აცხადებს სოფელ წითელწყაროს მკვიდრი ლექსო — შვილი.

„ტერტერაშვილი აქტიურად იყო გარიგებული რაიონულ პოლიციასთან, რადგან წლების მანძილზე, მათთვის პრობლემა არავის შეუქმნია. საროსკიპოში ხშირად იქმნებოდა კონფლიქტური ვითარებაც, რომელთა გასანეიტრალებლად ქალბატონი ელიკო უმალ „დაქმობილებულ" პოლიციელებს იხმობდა... მათი მეშვეობით პოლიციას არც დამნაშავეთა ჯგუფებზე გასვლა უძნელდებოდა," — აცხადებენ დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები.



ადგილობრივების აღშფოთებას ის ფაქტიც იწვევდა, რომ ხსენებულ ბორდელში არც 12-13 წლის კლიენტების მომსახურებაზე ამბობდნენ უარს. უკმაყოფილებას განსაკუთრებით ტერტერაშვილის მეზობლები გამოსთქვამენ. ისინი აცხადებენ, რომ კონფლიქტური ვითარებებისა და უცხო მამაკაცთა ხშირი და უდროო ვიზიტების გამო წუხდებოდნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი გოგონა ჭლექით იყო დაავადებული, რის გამოც, შესაძლოა, ეს სენი, კახეთში არაერთ მამაკაცს გადასდებოდა. ამ ფაქტს არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი განვითარებისა და გამჭვირვალობის ცენტრშიც" ადასტურებენ...

დედოფლისწყაროს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას სამჯერ ვეწვიე, თუმცა პოლიციის უფროსი დიმა ბოჭორიძე შვებულებაში დამხვდა, ადგილზე არც მოადგილეები იმყოფებოდნენ. ოფიციალურ პირთაგან მხოლოდ გამომძიებელი ალექსანდრე ღვედაშვილი მოვიხელთე. ღვედაშვილმა რაიონში დაფიქსირებული ტრეფიკინგის ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ ის განაცხადა, რომ ეს მის კომპეტენციას სცილდება და ვერაფერს იტყოდა...

პოლიციის უფროსის პირად ტელეფონზე დაკავშირებაც ვცადე, თუმცა ოთხი დღის მანძილზე მისი ნომერი „მიუწვდომელი" იყო. მის მოადგილესთან გიორგი თეთრაშვილთან დაკავშირებაც ვცადე, თუმცა ისიც გამუდმებით „გასული იყო მომსახურების ზონიდან"...

მოგვიანებით, პოლიციის უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს ტრისტან ქურხულიშვილთან დაკავშირება შევძელი. ქურხულიშვილმა აღნიშნა, რომ საროსკიპოსთან დაკავშირებით ვერაფერს მეტყოდა, რადგანაც სპეცოპერაცია სოდ-მა მათგან დამოუკიდებლად ჩაატარა. ქურხულიშვილი იმის დარწმუნებას შეეცადა, რომ რაიონულ პოლიციას ტერტერაშვილის საროსკიპოს შესახებ, 15 წლის მანძილზე არაფერი სმენია. ბოლოს მიყვირა და ტელეფონი გამითიშა...

პოლიციის შეფის დიმა ბოჭორიძის შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ კიდევ ერთხელ შევეცდები მისი მოსაზრებაც მოვისმინო დედოფლისწყაროელთა ბრალდებებზე, რომლებიც, დაგვეთანხმებით, საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს, ასე რომ, ბოჭორიძეს ისღა დარჩენია, წარმოქმნილ კითხვებს გულწრფელად უპასუხოს...

**ილია მარტყოფლიშვილი**

◎ რეტრო

## ქართული ფეხბურთის ერთი ღირსეული დღე

**ამას წინათ, სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უკრაინის ნაკრებთან საქართველოს ნაკრების მატჩისაკენ. როგორც ფეხბურთის მოყვარულებს ახსოვთ, იგი ფრედ 1:1 დამთავრდა.**

მაშინ პრესა აღნიშნავდა, რომ ამ გუნდების ურთიერთშეხვედრათა ანგარიშები უკრაინის მხარის დიდ უპირატესობაზე მიუთითებდა: რვა შეხვედრიდან (ბოლონდელის ჩათვლით) სამი ფრე და ხუთი გამარჯვება.

გულის მოსაოხებლად, არ შემიძლია მკითხველს არ შევახსენო ქართული ფეხბურთის ერთი ღირსეული დღე. მხედველობაში გვაქვს 1956 წლის 12 აგვისტო — საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ნახევარფინალური მატჩი სწორედ ჩვენს დღევანდელ დაუძლეველ მეტოქესთან — უკრაინის ნაკრებთან.



მაშინ უკრაინის ნაკრები დაკომპლექტებული იყო კიევის „დინამოს" და სტალინოს „შახტიორის" გუნდების ბაზაზე, ხოლო საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა თბილისის „დინამო".

საქართველომ მატჩის დასაწყისიდანვე შეუტია. მარჯვენა გარემარბი ბორის ხასაია გაიჭრა ფლანგზე, ბურთი ჩააწოდა წინ წამოწეულ ნახევარმცველს ალექსანდრე კოტრიკაძეს, რომელმაც ზუსტად გადასცა იგი ზაურ კალოევს, რომელმაც გახსნა ანგარიში (იხ. ფოტოძ 1:0.

უკრაინელებმა ხუთ წუთში ანგარიში გაათანაბრეს: იური ვოინოვმა შორიდან დაარტყა კარში და ვლადიმერ მარღანიამ, რომელსაც თავისივე ფეხბურთელები ეფარებოდნენ, დროზე ვერ შენიშნა ბურთის ტრაექტორია.

ათი წუთი დასჭირდა საქართველოს ნაკრებს წინ გასასვლელად — პარტნიორების შესანიშნავი კომბინაცია ისევ ზაურ კალოევმა გოლით დააგვირგვინა.

საქართველოს ნაკრებში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნიაზ ძიაპშიპა, ალექსანდრე კოტრიკაძე, ბორის ხასაია, ავთანდილ ჭკუასელი, ზაურ კალოევი.

მატჩის დამთავრებამდე მცირე დრო იყო დარჩენილი, როცა წინ გაჭრილმა კონსტანტინე გაგნიძემ ბურთი ავთანდილ ჭკუასელს მიაწოდა, რომელმაც უკრაინელთა მეკარე მოატყუა და მესამედ შეარხია მეტოქის კარის ბადე.

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა და ფინალში მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამარცხდა მოსკოვის ნაკრებთან 1:2.

ნახევარფინალურ მატჩში გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ:

**უკრაინის ნაკრები:** მაკაროვი, ეროხინი, გოლუბევი, პოპოვიჩი; ვოინოვი, დუმანსკი; გრამატიკოპულო, ტერენტიევი, კანევსკი, კომანი, ფომინი (კორშუნოვიძ.

**საქართველოს ნაკრები:** მარღანია, ელოშვილი, ძიაპშიპა, ხოჭოლავა; კოტრიკაძე, ღოლობერიძე; ხასაია, გაგნიძე, ზაზროევი, კალოევი, ჭკუასელი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სპარტაკიადის მსვლელობაში სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს ბ. ხასაიამ, გ. ხოჭოლავამ და შ. იამანიძემ, ამასთან, ბ. ხასაია საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში 1956 წლის შედეგების მიხედვით შეყვანილი იყო მეორე ნომრად (მარჯვენა გარემარბებშიძ, ხოლო ა. ღოლობერიძე და ვ. ელოშვილი — მესამე ნომრად.

**გიორგი მახარაძე,**
სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი.


რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში"

98-65-87; 899 32-85-76.



განცხადება

ამა წლის 22 ოქტომბერს დღის 18 საათზე ტარდება სააქციო საზოგადოება „თბილლითონნაწარმის" აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:
1ძ სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება;
2ძ ახალი წესდების მიღება;
3ძ მიმდინარე საკითხები.

კრებაზე დასასწრებად თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სს „თბილლითონნაწარმის" დირექცია

# სპორტი

● ვერ გეტყვით, პრეზიდენტ სარკოზის მიერ ამ მატჩზე სპეციალურად მიწვეული მიხეილ სააკაშვილი საფინალო სასტვენის შემდეგ რა გუნებაზე დადგა, ჩვენ კი გვგონია, რომ მასპინძლებმა მიწაზე დაგვაბრუნეს და გვიჩვენეს, რომ ელიტაში მოსახვედრად ბევრი გარჯა მოგვიწევს



◎ რაგბი

## სიმართლე კი ასეთია

**გასულ უქმეებზე საფრანგეთში მორაგბეთა მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა. ჩვენი ყურადღება, ცხადია, მარსელისკენ იყო მიმართული, სადაც საქართველოს ნაკრები მასპინძლებს დაუპირისპირდა.** ფავორიტად სამფეროვნები ითვლებოდნენ, რომლებსაც მსოფლიო თასის მოპოვება აქვთ გამიზნული. ბორჯღალოსნები კი მოკრძალებული გეგმებით ჩავიდნენ საფრანგეთში, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, მადა ჭამაში მოდისო. მას შემდეგ, რაც ნამიბიას სძლიეს, ირლანდია ლამის ამოაყირავეს და არგენტინას, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ვაჟკაცურად ეომნენ, ჩვენი გუნდისგან ახლაც სენსაციას ელოდნენ გულშემატკივრები, თუმცა იმედები არ გამართლდა — ქართველმა მორაგბეებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტოქეს და 7:64 დამარცხდნენ. ვერ გეტყვით, პრეზიდენტ სარკოზის მიერ ამ მატჩზე სპეციალურად მიწვეული მიხეილ სააკაშვილი საფინალო სასტვენის შემდეგ რა გუნებაზე დადგა, ჩვენ კი გვგონია, რომ მასპინძლებმა მიწაზე დაგვაბრუნეს და გვიჩვენეს, რომ ელიტაში მოსახვედრად ბევრი გარჯა მოგვიწევს.



საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბარკალაია (ელოშვილიძ, ურჯუკაშვილი, გიგაური, ი. გიორგაძე, ხამაშურიძე (ელიზბარაშვილიძ, კვირიკაშვილი, აბუსერიძე (სამხარაძეძ, მაგრაქველიძე, ა. გიორგაძე, ზირაქაშვილი (კოპალიანიძ, დიდებულიძე (დათუნაშვილიძ, მჭედლიშვილი, ი. მაისურაძე (ზ. მაისურაძეძ, ურუშაძე (შველიძეძ, ჩხაიძე.

გაუწყებთ დანარჩენ ჯგუფებში გამართული შეხვედრების ანგარიშებს: ზელანდია — რუმინეთი 85:8, უელსი — ფიჯი 34:38, შოტლანდია — იტალია 18:16, ირლანდია — არგენტინა 15:30, სამხრეთ აფრიკა — აშშ 64:15.

ამრიგად, გამოვლინდა ჩემპიონობისთვის მებრძოლი რვა გუნდი, რომლებიც ასე დაწყვილდნენ: **6 ოქტომბერი. ავსტრალია — ინგლისი (მარსელი, 17.00ძ, ზელანდია — საფრანგეთი (კარდიფი, 23.00ძ. 7 ოქტომბერი. სამხრეთ აფრიკა — ფიჯი (მარსელი, 17.00ძ, არგენტინა — შოტლანდია (სენ დენი, 23.00ძ.**

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ბორჯღალოსნებმა მსოფლიო ჩემპიონატი მე-13 ადგილით დაამთავრეს.

◎ ორბიტაზე



## „მაკლარენის“ საშინაო საქმე

**სუძუკას ავტოდრომზე გათამაშებულმა „იაპონიის გრან-პრიმ“ კიდევ უფრო გამოკვეთა „მაკლარენის“ პილოტისგან ლუის ჰემილტონის საჩემპიონო ამბიციები — წლევანდელი „ფორმულა-1“-ის ფინიშამდე დარჩენილი ორი ეტაპის წინ იგი თანაგუნდელ ფერნანდო ალონსოს უკვე 12 ქულით უსწრებს და ძნელი სავარაუდოა, რომ ასეთი სოლიდური უპირატესობა ვერ შეინარჩუნოს.** ჯერაც მოქმედი ესპანელი გვირგვინოსანი „ამომავალი მზის ქვეყანაში“ 42-ე წრეზე გამოეთიშა რბოლას — იგი ტრასას ბოლიდის ტექნიკური გაუმართაობის გამო ჩამოცილდა. დავძენთ, რომ ბრიტანელს კვარცხლბეკზე მხარი ფინელებმა — ჰეიკი კოვალაინენმა და კიმი რაიკონენმა დაუმშვენეს, საერთო ჩათვლაში კი ასეთი მდგომარეობაა: ჰემილტონი — 97, ალონსო — 85, რაიკონენი — 80 ქულა.

## ეთიოპიელთა „დუბლი“



**ბერლინის 34-ე საერთაშორისო მარათონის გმირი 5 და 10 კილომეტრზე სირბილში ოლიმპიური ჩემპიონი ეთიოპიელი ჰაილე გებრესელასე გახდა** — აღნიშნულ დისტანციებზე მსოფლიო რეკორდსმენმა კენიელი პოლ ტერგატის ოთხი წლისწინანდელი მიღწევა 29 წამით გააუმჯობესა. ქალთა შორის ყველას მისმა თანამემამულე ვამიმ აჯობა.

## ტურსუნოვის სეზონი

**დიმიტრი ტურსუნოვმა (ფოტოზეძ კარიერაში მესამე, წლევანდელ სეზონში კი მეორე ტიტული მოიპოვა** — ივლისში ინდიანაპოლისის კორტებზე მოგებულ ტურნირს რუსმა ჩოგბურთელმა ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში დამსახურებული უმაღლესი ჯილდო დაუმატა (საპრიზო ფონდი — 550 000 დოლარიძ. ფინალში მან უპრობლემოდ სძლია გერმანელ ბენჯამენ ბეკერს — 6:1, 6:2.



◎ ფეხბურთი

## აქეთური, იქეთური

**XIX ეროვნული ჩემპიონატი. VII ტური.** „დილა“ — „მგლები“ 1:3, „ბორჯომი“ — „მეხსეთი“ 2:0, „სიონი“ — „ზესტაფონი“ 0:2, „ოლიმპი“ — „ლოკომოტივი“ 1:0, „მერანი“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:3, „დინამო“ — „ბათუმი“ 7:0, „სპარტაკი“ — „ამერი“ 0:1.

„დინამო“ — 21, „ზესტაფონი“ — 19, „ბორჯომი“ — 14, „ვიტ ჯორჯია“ — 13, „ამერი“, „მგლები“ — 12-12, „მესხეთი“ — 11, „ოლიმპი“ — 10, „სიონი“, „სპარტაკი“ — 8-8, „ლოკომოტივი“ — 6, „დილა“, „მერანი“ — 3-3, „ბათუმი“ — 1 ქულა.



* * *

**იტალია. V ტური.** „რომა“ — „ინტერი“ 1:4, „ტორინო“ — „იუვენტუსი“ 0:1, „ლივორნო“ — „ფიორენტინა“ 0:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 14, „იუვენტუსი“ — 13, „ფიორენტინა“ — 12 ქულა.

**ბომბარდირები:** იბრაჰიმოვიჩი („ინტერი“ძ, ტრეზეგე („იუვენტუსი“ძ — 7-7 გოლი.

**ესპანეთი. VI ტური.** „ხეტაფე“ — „რეალი“ 0:1, „უელვა“ — „ვალენსია“ 0:1, „ვილიარეალი“ — „ბილბაო“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ — 16, „ვილიარეალი“, „ვალენსია“ — 15-15 ქულა.

**ბომბარდირები:** მესი („ბარსელონა“ძ, აგერო („ატლეტიკო“ — 5-5 გოლი.

**ინგლისი. VIII ტური.** „ვესტ ჰემი“ — „არსენალი“ 0:1, „ბირმინგემი“ — „მანჩესტერი“ 0:1, „სიტი“ — „ნიუკასლი“ 3:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არსენალი“ — 19, „მანჩესტერი“ — 17, „სიტი“ — 16 ქულა.

**ბომბარდირი:** ადებაიორი („არსენალი“ძ — 6 გოლი.

**გერმანია. VIII ტური.** „ლევერკუზენი“ — „ბაიერნი“ 0:1, „შალკე“ — „ჰერტა“ 1:0, „კარლსრუე“ — „ბორუსია“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ — 20, „შალკე“ — 16, „კარლსრუე“ — 15 ქულა.

**ბომბარდირი:** კლოზე („ბაიერნი“) — 8 გოლი.

**საფრანგეთი. გამოტოვებული შეხვედრა.** „ლიონი“ — „ლანსი“ 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“, „ნანსი“ — 19-19, „ბორდო“ — 18 ქულა.

**ბომბარდირი:** ბენზემა („ლიონი“ძ — 9 გოლი.

**რუსეთი. XXV ტური.** „ზენიტი“ — ცსკა 2:1, „სპარტაკი“ — „ხიმკი“ 2:0, „სატურნი“ — „მოსკოვი“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ზენიტი“ — 49, „სპარტაკი“ — 46, „მოსკოვი“ — 4:3 ქულა.

**უკრაინა. XI ტური.** „მეტალურგი“ (ზაპოროჟიეძ — „შახტარი“ 1:3, „დნიპრო“ — „მეტალურგი“ (დონეცკიძ 1:3, „დინამო“ (კიევიძ — „ნაფტოვიკი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შახტარი“ — 31, „დნიპრო“ — 22, „დინამო“ (კიევიძ — 21 ქულა.

**ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი.** გერმანია — ბრაზილია 2:0. **მატჩი მესამე ადგილისთვის.** აშშ — ნორვეგია 4:1.



◎ ძიუდო

## აღმართს დაღმართი მოჰყვა

**საქართველოს ძიუდოისტებმა წლეულს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებიდან ორი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს.** ისიც უნდა ითქვას, რომ შორეულ რიო დე-ჟანეიროში შვიდიდან ხუთ წონით კატეგორიაში მოიპოვეს პეკინის ოლიმპიადის საგ-



ზურები. ჩვენები ახლოს არიან ლიცენზიებთან 66 და 81 კილოშიც, რადგან ზაზა კედელაშვილმა (66ძ ევროპის ჩემპიონობით 100 ქულა დაიმსახურა და, არა გვგონია, იგი ოლიმპიურ თამაშებს მიღმა აღმოჩნდეს. მსგავსი მდგომარეობაა 81 კილოშიც, სადაც რამდენიმე ფალავანს აქვს ჩინეთის დედაქალაქში გამგზავრების შანსი.

ნაკლული ქულების შესავსებად ჩვენი ძიუდოისტები (ბეთქილ შუკვანი, ზაზა კედელაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, ლევან წიკლაური, სოსო მსხილაძე, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილიძ გასულ უქმეებზე ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში გაემგზავრნენ და მსოფლიო სუპერთასის მორიგ ტურნირში მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ, ისინი ყველა წონაში საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდნენ. რას იზამ, ყოველ აღმართს ხომ დაღმართი მოსდევს. თუმცა, საწუწუნო არაფერია, ქართველი ფალავნები კიდევ არაერთ ტურნირში გვასახელებენ.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.

№ 189. სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს რკინიგზის სადგურ „თბილისი-აეროპორტის" შენობის შიდა (გარდა მართვის უფლებით გადასაცემი საკვები და სავაჭრო ობიექტის ფართისა) და გარე პერიმეტრზე, ასევე ამ მიმართულებით მოძრავ შემადგენლობებზე და მათ შიგნით სარეკლამო მასალის განთავსების ექსკლუზიური უფლების მინიჭების მიზნით

***1. სარეკლამო საქმიანობა ითვალისწინებს:***

• რეკლამის განთავსებას რკინიგზის სადგურ „თბილისი-აეროპორტის" შენობის გარე და შიდა (გარდა მართვის უფლებით გადასაცემი საკვები და სავაჭრო ობიექტის ფართისა) პერიმეტრზე.

• გარე რეკლამის კონსტრუქციების დამონტაჟებას.

• შენობაში ეკრანის განთავსებას.

• რეკლამის განთავსებას მოძრავ შემადგენლობებზე და მათ შიგნით.

• მოძრავ შემადგენლობებში ეკრანების განთავსებას.

• სარეკლამო ბეჭდური მასალის, (ბუკლეტები, ლიფლეტები, ფლაერები და ა. შ.) გავრცელება სამგზავრო მატარებლებში.

• სხვა სახის პრომო აქციების განხორციელება.

***2. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები***

• **რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლებისათვის საწყისი თვიური გადასახადი** – 4050 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარებში, დღგ-ს გარეშე.

• **„ბე"** – 4050 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარში.

• **განთავსების უფლების ვადა - 3** წელი.

• **განაცხადების მიღების ადგილი** – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ: 56-33-48, 56-53-20, 56-65-10.

• **განაცხადების მიღების ვადა -** 2007 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით, 10.00 საათიდან 18.00 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

• **კონკურსის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო –** 2007 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურსის ჩატარების დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 12.00 საათზე, ხოლო კონკურსი ჩატარდება ამავე დღის 14.00 საათზე

• **შპს „საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები** – 'ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

• **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

***3. საკონკურსო პირობები:***

• რეკლამის განთავსების უფლების მიმღების მიერ განთავსების უფლებისათვის თვიური გადასახადის ყოველთვიურად გადახდა.

• უფლების მიმღებს უფლება აქვს სარეკლამო საქმიანობა განახორციელოს (სარეკლამო მასალის განთავსება და ა.შ) სადგურ „თბილისი-აეროპორტის" მიმართულებით მოძრავ შემადგენლობებზე და მათ შიგნით, ასევე სადგურის შენობის გარე და შიდა პერიმეტრზე (გარდა მართვის უფლებით გადასაცემი საკვები და სავაჭრო ობიექტის ფართისა).

• კონკურსში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულია წარმოადგინოს საკონკურსო ობიექტების ფართების ათვისების (სარეკლამო მასალებით დატვირთვის) ელექტრონულად დამუშავებული დეტალური პროექტი. რომელშიც განსაზღვრული იქნება თითოეული სარეკლამო კონსტრუქციის, აბრის, ეკრანის თუ სხვა მასალის ზუსტი ადგილმდებარეობა, ზომა და ფორმა.

• კონკურსში მონაწილე პირები შეზღუდულნი არ არიან სარეკლამო მასალის მოცულობის, ადგილმდებარეობის და ფორმის განსაზღვრაში. რაც გულისხმობს მოცემული ფართების ოპტიმალურ გამოყენებას ისე რომ არ დაირღვეს შენობის ექსტერიერი, ინტერიერი და მატარებლების იერსახე.

• პროექტის სრულყოფილად დამუშავების მიზნით მსურველ პირებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის დაგეგმარებას, ასევე სამგზავრო შემადგენლობის მოწყობას.

• წარმოდგენილი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს სადგურ „თბილისი-აეროპორტის" შენობის პროექტს და მის ინფრასტრუქტურას.

• კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია სარეკლამო საქმიანობა განახორციელოს 'რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით;

• განთავსების უფლების მიმღები ვალდებულია დროულად და სრულად გადაიხადოს ქონების, კომუნალური, ქონების დაცვის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები.

• განთავსების უფლების მიმღებმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს ქონების მოვლა-პატრონობა.

• თუ განთავსების უფლების მიმღების ბრალეული ქმედებით შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზიანი მიადგა მესამე პირებს, მართვის უფლების მიმღები ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ეს ზიანი.

• განთავსების უფლების მიმღები ვალდებულია საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას არ დაუშვას შპს „საქართველოს რკინიგზის" ქონების დაზიანება და პასუხს აგებს სარეკლამო მასალების განთავსების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.

• სარეკლამო საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (სარეკლამო მასალების დამზადება, განთავსება, მოვლა და ა.შ) ფარავს განთავსების უფლების მიმღები, ამასთან შპს „საქართველოს რკინიგზის" ქონების ექსპლუატაციისას დახარჯული თანხები უფლების მიმღებს არ აუნაზღაურდება.

• კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია ისე განათავსოს რეკლამა, რომ არ შეაფერხოს რკინიგზის ნორმალური ფუნქციონირება, ხოლო სარეკლამო მასალის იერსახე შეთანხმებული იყოს შპს „საქართველოს რკინიგზასთან".

• რეკლამის არასწორი (კანონშეუსაბამო) განთავსებისათვის და ამის შემდეგ დამდგარი ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კონკურსში გამარჯვებულ პირს.

• კონკურსში გამარჯვებუი პირი ვალდებულია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კვირის ვადაში დაიწყოს სარეკლამო საქმიანობა.

• უფლების მიმღების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას შპს „საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება და ამ შემთხვევაში ჰკარგავს გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

• სარეკლამო საქმიანობის წარმოების გამოცდილება.

• წარმოდგენილი პროექტი მოწონებული უნდა იყოს შპს „საქართველოს რკინიგზის" მიერ.

• უფლების გამცემის მოთხოვნით რეკლამის განთავსების უფლებისათვის თვიური გადასახადი გადაიხედება ყოველ წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება 2007 წლის იანვრის თვის მაჩვენებელი. ამასთან, განთავსების უფლებისათვის თვიური გადასახადი არ შეიძლება შემცირდეს მოცემული აუქციონის პირობებით განსაზღვრულთან შედარებით.

• მართვის უფლების მიმღები ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს 'საქართველოს რკინიგზას" წარუდგენს ანგარიში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

• სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში უფლების მიმღები იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმასაფხვრელად. ამასთან, თუ უფლების მიმღები დაარღვევს გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

• თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში უფლების მიმღები არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში უფლების მიმღები ჰკარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

• უფლების მიმღები ვალდებულია თავისი საქმიანობით არ შეაფერხოს სადგურის ნორმალური ფუნქციონირება.

***4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები***

• კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს სარეკლამო საქმიანობის განხორციელების უფლება.

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსის საგანი და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

• კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ელექტრონულ ფორმატში დამუშავებული პროექტი, თავსდება ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ.

• დალუქულ კონვერტში უნდა იყოს წარმოდგენილი წინადადება რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლებისათვის გადასახადის შესახებ (მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით), რომელიც არ შეიძლება იყოს საკონკურსო პირობებში გამოცხადებულ თანხაზე ნაკლები. შემოთავაზებული გადასახადი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე პირობაზე. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).

• „ბე"-ს გადახდის ქვითარი („ბე" გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

• კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

• კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

• კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

***5. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები***

• შპს „საქართველოს რკინიგზასთვის" რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის მაქსიმალური ყოველთვიური გადასახადის შემოთავაზება და სხვა საკონკურსო პირობების დაკმაყოფილება.

• საკონკურსო ობიექტების ფართების ათვისების (სარეკლამო მასალებით დატვირთვის) ელექტრონულად დამუშავებული დეტალური, ყველაზე ოპტიმალური და მაქსიმალურად შენობის პროექტთან და მიმდებარე ტერიტორიიასთან, ასევე მატარებლბის იერსახესთან შესაბამისობაში არსებული პროექტი, რომელიც არ დაარღვევს ობიექტების არც ინტერიერისა და არც ექსტერიერის ერთიან კომპოზიციას.

***6. კონკურსის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ხელშეკრულების დადება***

• საკონკურსო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება კონკურსის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს კონკურსში გამარჯვებული, მეკონკურსე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. კონკურსის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ კონკურსში გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება.

• გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

• კონკურსის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის ბრძანებით კონკურსის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.

• კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან" გააფორმოს ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მართვის უფლების მიმღები.

• ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს იხდის კონკურსში გამარჯვებული პირი.

***7. შენიშვნები და დათქმები.***

• გამარჯვებულს გადახდილი „ბე" ჩაეთვლება ანგარიშსწორების დროს იმ დროისათვის არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად.

• დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

• განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

• თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.

• გამარჯვებული კომპანია ვალდებულია ყველა სახის სარეკლამო მასალის იერსახე და ფორმატი შეუთანხმოს წინასწარ შპს „საქართველოს რკინიგზას".

**კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში".**

# სხვადასხვა

● ახლანდელი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი მაშინ რესპუბლიკურ საავადმყოფოდ შენდებოდა. მხოლოდ ლეონიდ ბრეჟნევის უნივერსიტეტში სტუმრობამ გადაწყვიტა მშენებარე საავადმყოფოს უნივერსიტეტისთვის გადაცემა



◉ პროფესიული განათლება

## „სპექტრი“ გიხმობთ...

**— ახალ სასწავლო წელს საქართველოში 13 განახლებული პროფესიული სწავლების ცენტრი ამოქმედდა, მათ შორისაა „სპექტრი“. იგი თბილისში გაიხსნა განახლებული პროგრამებითა და მეთოდებით. „სპექტრი“ 500-მდე სტუდენტს მოამზადებს სახელმწიფო დაფინანსებით, „სპექტრის“ კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლები არიან: „საამშენებლო კომპანია „აქსისი“, ფირმა „ბეკო“, მობილური კავშირგაბმულობის კომპანია „მობიტელი“.**

„სპექტრის“ სასწავლო პროგრამები ადგილობრივი სპეციალისტების და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით განახლდა. ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში სრულიად განახლდება და ამერიკული სტანდარტებით გაიმართება შენობა-ნაგებობათა და გზების მშენებლობის სასწავლო პროგრამები, მთლიანად პროექტის ღირებულება 2,5 მილიონ დოლარს შეადგენს.

პროფესიული სწავლების ცენტრში 11 სპეციალობას მიიღებენ. ესენია: ფართო პროფილის მშენებელი, დურგალი, სანიტარიულ-ტექნიკური სამუშაოების ოსტატი, ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების ოსტატი, ავტომექანიკოსი, კომპიუტერული სისტემის ოპერატორი, კომპიუტერის მომსახურე და შემკეთებელი, მობილური ტელეფონების შემკეთებელი, საყოფაცხოვრებო ცენტრიმოწყობილობის მომსახურე და შემკეთებელი მექანიკოსი, მდივან რეფერენტი; ბუღალტერი.

ცენტრში სწავლების მინიმალური ხანგრძლივობა 4 თვეა, მაქსიმალური – 1 წელი.

ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულ განათლებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1463000 ლარი დაიხარჯა.

**ნათელა ფაილოძე**

◉ SIC!

## უნივერსიტეტი სვეტიცხოველივით ხელშეუხებელია!

**ახლახან საინფორმაციო წყაროებმა გაავრცელა ცნობა, უახლოეს მომავალში საბურთალოზე, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ახლომახლო, უმაღლესი სასწავლებლების რამდენიმე კორპუსი აშენდებაო. გაშენდება თურმე, თანამედროვე სტუდენტთა ქალაქიც.**

რა თქმა უნდა, ეს კარგი და მისასალმებელი იდეაა, მაგრამ მისმა ავტორებმა არამც და არამც ხელი არ უნდა ახლონ ჩვენს დედაუნივერსიტეტს. ერთ ტერიტორიაზე უმაღლესი სასწავლებლების განთავსება კარგი საქმეა, მაგრამ არც ახალია. გავიხსენოთ XX საუკუნის 60-იანი წლების ვაკე, სადაც ფაქტობრივად რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი იყო განთავსებული: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული, უცხო ენების, პედაგოგიური ინსტიტუტები და იქვე ახლოს მდებარე სამედიცინო ინსტიტუტი. ე. ი. მაშინ თბილისში არსებული რვა უმაღლესი სასწავლებლიდან ექვსი ვაკეში იყო.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებას არ ეპიტნავა ამდენი უმაღლესი სასწავლებლისა და ახალგაზრდების ერთად ყოფნა და გამოხშირა ისინი. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი კრწანისში გადაიტანეს, სამედიცინო-საბურთალოზე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი კი დიღომში.

ამ ახალმშენებლობასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტიც მომაგონდა: თბილისის უნივერსიტეტის გაფართოებაზე საქმიანი საუბრები XX საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო. შეიქმნა კიდეც სათანადო პროექტი, რომელიც უნივერსიტეტის გაფართოებას იქვე, ახლომახლო ტერიტორიაზე ითვალისწინებდა. ახლანდელი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი მაშინ რესპუბლიკურ საავადმყოფოდ შენდებოდა. მხოლოდ ლეონიდ ბრეჟნევის უნივერსიტეტში სტუმრობამ გადაწყვიტა მშენებარე საავადმყოფოს უნივერსიტეტისთვის გადაცემა.

ახლა რამდენიმე სიტყვა თბილისის უნივერსიტეტის საფუძვლის ჩაყრის შესახებ. აქ მოვიშველიებ უკვდავი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1951 წლის 9 ივანოზისთვის წარმოთქმულ სიტყვას: „თბილისში გიმნაზიის შენობის აგების ინიციატორი ნიკო ცხვედაძე იყო. კომისიაში შედიოდნენ ნიკო ცხვედაძე, ვასილ ყიფიანი და ილია წინამძღვრიშვილი. არქიტექტორად მოსკოვის უნივერსიტეტის ვერცხლის მედალზე დამთავრებული სიმონ კლდიაშვილი მოვიწვიეთ. შემდეგ ერთი რუსი არქიტექტორი ჩამოვიდა თბილისში, სიმონის მეგობარი, იგი დაეხმარა სიმონს და დაჩქარდა პროექტი. უნივერსიტეტის შენობა ორსართულიანად იყო განზრახული. მუზეუმის მასშივე მოთავსების გამო გავხადეთ სამსართულიანი“.

სამწუხაროდ, ამ რუსი არქიტექტორის ვინაობა ცნობილი არ არის. არადა, საინტერესო და საყურადღებო ფაქტია.

ახლა გავეცნოთ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1918 წლის 17 იანვრის ოქმს, რომელშიც ვკითხულობთ: **„უნივერსიტეტი გაიხსნას 26 იანვარს, დაიბეჭდოს საგანგებო მოსაწვევი ბარათები სამს ენაზედ – ქართულსა, ქართულ-რუსულსა და ქართულ-ფრანგულსა. პარაკლისი გადახდილი იქნას ეკლესიაში, ხოლო უნივერსიტეტი გაიხსნას საუნივერსიტეტო დარბაზში პირველ საათზედ. უნივერსიტეტი გახსნას ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ (ნოე ჟორდანიამ – დ. ც.ძ, შემდეგ სიტყვას წარმოთქვამს რექტორი (პეტრე მელიქიშვილი – დ. ც.ძ, დასასრულ დეკანი (ივანე ჯავახიშვილი – დ. ც.ძ წარმოთქვამს სიტყვას. აღნიშნული ისტორიულ სხდომას ესწრებოდნენ: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ანდრია ბენაშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და იოსებ ყიფშიძე“.**

აქ დასახელებულ მამულიშვილთან სამუდამო განსასვენებელი, თბილისის უნივერსიტეტის ბაღშია. აი, სწორედ მათი დაარსებული უნივერსიტეტი უნდა გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც წმიდადაწმიდა სასწავლო-სამეცნიერო ტაძარი.

**დურმიშხან ცინცაძე**

№ 189. სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვმუშაობ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგად. საათობრივ ანაზღაურებაზე, მაქვს მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლება?**

**მარიამ მესხიშვილი**

**პასუხი:** დიახ, სრული უფლება გაქვთ, მუშაობის პერიოდში პენსია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღოთ.

* * *

**კითხვა: ვარ პოლიტრეპრესირებული: საყოფაცხოვრებო სუბსიდიის სახით ყოველთვიურად მიხდიან მხოლოდ 7 ლარს, რაც უკანონოდ მიმაჩნია, იქნებ ამიხსნათ, ვის მივმართო ამ საკითხზე. ვინ არის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო?**

**გურამ წითელაშვილი**



**პასუხი:** 2007 წლის 1 ივლისიდან საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სოციალური სუბსიდიების სააგენტო, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნას. გაცემას, შეწყვეტასა და მის მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების რეგულირებას.

* * *

**კითხვა: ვარ სამხედრო ძალების ვეტერანი, 71 წლის, გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენი ლარით უნდა განისაზღვრებოდეს ჩემთვის მისაცემი ყოველთვიური საყოფაცხოვრებო სუბსიდია?**

**ნემო სალარაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის შესაბამისად, სამხედრო ძალების ვეტერანებისთვის სუბსიდია განისაზღვრება 22 ლარით.

* * *

**კითხვა: გარდამეცვალა მეუღლე, წლისთავიც გადავუხადე და მიუხედავად შვილების ერთგვარი წინააღმდეგობისა, გადავწყვიტე, ხელმეორედ ვიქორწინო. გთხოვთ, განმიმარტოთ, მაქვს თუ არა ამის უფლება და რა საბუთი უნდა წარვადგინო ქორწინების რეგისტრაციის დროს?**

**თამაზ გელაშვილი**

**პასუხი:** კანონის თანახმად, გაქვთ უფლება, იქორწინოთ, ამისათვის საჭიროა რეგისტრაციის ორგანოს წარუდგინოთ ცნობა პირველი მეუღლის გარდაცვალების შესახებ.

* * *

**კითხვა: ჩემი მეუღლე, კანონის დაცვით, ცნობილია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, შემიძლია თუ არა მოვითხოვო განქორწინება და ხელახლა ვიქორწინო?**

**ნანა შაბურიშვილი**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, შეგიძლიათ. ამისათვის საჭიროა განცხადებით მიმართოთ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოს და წარადგინოთ შესაბამისი საბუთი მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ.

* * *

**კითხვა: მე და ჩემი მეუღლე 10 წლის წინათ დავქორწინდით, ამასთან დაკავშირებითაც შევიცვალე გვარი და გადავედი მის გვარზე. ამჟამად ყველა საბუთი მაქვს ციციშვილის გვარზე. ჩემი ქალიშვილობის გვარი კი ნორაკიძეა. შეტანილი მაქვს განცხადება მეუღლესთან განქორწინების თაობაზე, მაგრამ გვარის შეცვლას არ ვაპირებ. მაქვს ამის უფლება?**

**ლანა ციციშვილი**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა ქორწინების დროს, უფლება აქვს, განქორწინების შემდეგ დარჩეს მეუღლის გვარზე ან დაიბრუნოს ქალიშვილობის გვარი, რის შესახებაც მან უნდა აცნობოს შესაბამის ორგანოს დაქორწინების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

**მეუღლე ნორა ქანთარია, შვილები ომარ, დოდო ქინქლაძეები, შვილიშვილები მაკა, ანუკი კუნჭულიები, სიძეები გოგი კუნჭულია, მერაბ თევზაძე, რეზო მაისურაძე, შვილთაშვილები მიხეილ, კოტიკო, ლუკა, თაკო, უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**კოტე ივანეს ძე ქინქლაძის**

**გარდაცვალებას. დაკრძალვა ლანჩხუთის რაიონი სოფ. აცანა, 4 X, (ხუთშაბათს) 15 სთ.**

---

**პოლიტექნიკური ინსტიტუტის 826-ე ჯგუფის კურსელები თანაუგრძნობენ მეგობარს ომარ ქინქლაძეს მამის**

**კოტე ივანეს ძე ქინქლაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**შვილები ამირან, ირაკლი, ნუკრი მიქაძეები, შვილიშვილები თენგო, ოთარი, თამუნა, ნინო, მარიამი, სალომე, და ნელი, ძმა ენვერ ჩიქავები, მული ლამარა, მაზლი ავთო მიქაძეები, სიძე ღუღუნი ყურაშვილი, რძლები ნანა, რუსიკო, სოფიკო, დისწულები, ძმისწულები, უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**თალიკო ჩიქავა-მიქაძის**

**გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 X, 15 სთ. მისამართი: ქ. ხონი, მოსე ხონელის 41.**

---

**დეიდაშვილები ნათელა, მზია, მალხაზ ფუტკარაძეები მეუღლეებით, შოთა გამყრელიძე და დალი კარიაული ოჯახებით იუწყებიან ცნობილი ექიმის ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგ**

**ივანე (ვანიკო) დავითის ძე მეიფარიანის**

**გარდაცვალებას.**

---

**ოთარ, ბიჭი, მანანა, ოთო, აბდუშელიშვილები, ოთარ, ეკა თარგამაძეები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ივანე დავითის ძე მეიფარიანი.**

◉ ინფორმაცია

## საკადრო ცვლილებები იმერეთის პოლიციაში

**შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა იმერეთის რეგიონში საკადრო ცვლილება განახორციელა.**

თანამდებობა დატოვა იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ლევან კახიანმა. კახიანის ადგილი მისივე მოადგილემ შალვა პაპავამ დაიკავა. იგი თბილისში, ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელის რანგში გააგრძელებს მუშაობას.

**ინტერპრესნიუსი**

● როგორც კი საფლავი გახსნეს, ჰიტლერი თავს დაესხა საბჭოთა კავშირს — წინასწარმეტყველება ლამის წუთი-წუთ ახდა! მაშინ კი იკადრა მოსკოვთან დაკავშირება ექსპედიციის ხელმძღვანელმა...



◉ იდუმალება

# ასე გადაუხადა მადლობა სტალინმა... თემურ-ლენგს

**აქსაკალებმა ოპერატორი გააფრთხილეს, არ ხელეყოთ მხედართმთავრის საფლავი, თორემ ომი დაიწყებაო და... გაქრნენ. ომი კი მართლაც დაიწყო**

**მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობლის, უძველესი მხედართმთავრის, უზარმაზარი იმპერიის შემქმნელის თემურ-ლენგის ცხოვრებაში ახლაც ბევრი რამაა იდუმალებით მოსილი. მან გაანადგურა ოქროს ურდო, სისხლიან ქარაშოტად გადაუარა და იავარქმნა კავკასია, ირანი, ინდოეთი, მცირე აზია და ა. შ. ევროპელ მეფეებს შიშით ელეთ-მელეთი მოსდიოდათ, ვაიდა, ჩვენზეც ილაშქროსო და ფინიებივით „კუდებს უქიცინებდნენ“ მდაბიო, წერა-კითხვის უცოდინარ მრისხანე და დაუნდობელ დამპყრობელს.**

თემურ-ლენგის მთელი ცხოვრება ერთი მთლიანი გამარჯვებაა. მისი თანამედროვენი ამტკიცებდნენ, ასეთ უძლეველობას მას უდიდესი გრძნეულნი ანიჭებენო. თუმცა, იმასაც ამბობდნენ თავად



თემური უდიდეს მაგიურ ძალას ფლობდაო.

ზემოთქმულს ესეც ადასტურებს. ომი რომ დაიწყო, ჰიტლერი შამბალის ძალის დაუფლებას ცდილობდა, სტალინმა კი თემურ-ლენგის საფლავის მოძებნა ბრძანა, რათა ცხედართან ერთად დამარხული მაგიური არტეფაქტები ეგდო ხელთ და კოჭლი მიზანტროპის ზებუნებრივ ძალას დაუფლებოდა. დაკრძალვის ადგილის საიდუმლოს კი სუფიების საიდუმლო ორდენი ინახავდა. სწორედ მათ მიაბარეს მიწას დიდი მხედართმთავარი.

როცა საბჭოთა სწავლულებმა იპოვეს თემურის საფლავი, ძალზე უცნაური რამ მოხდა: ჩაიხანაში მყოფ ოპერატორ მალიკ კაიუმოვთან სამი აქსაკალი მივიდა და საბედისწერო წინასწარმეტყველება გაანდო: „არ შეიძლება უდიდესი სარდლის ნეშტის ხელყოფა, ომი დაიწყება“. ესა თქვეს და გაქრნენ... გაოგნებულმა კაიუმოვმა ამის თაობაზე ექსპედიციის ხელმძღვანელებს მოუთხრო, მაგრამ მეცნიერებმა დატუქსეს, ეს რა ცრუმორწმუნეობააო.

როგორც კი საფლავი გახსნეს, ჰიტლერი თავს დაესხა საბჭოთა კავშირს — წინასწარმეტყველება ლამის წუთი-წუთ ახდა! მაშინ კი იკადრა მოსკოვთან დაკავშირება ექსპედიციის ხელმძღვანელმა...

მოგვიანებით ხრუშჩოვი ამტკიცებდა, სტალინი ძალზე გაბრაზდა, რატომ არ მომახსენეთ წინასწარმეტყველების შესახებო.

1942 წლის სექტემბერში თემურ-ლენგის ნეშტი მის მიერ შექმნილი იმპერიის დედაქალაქ სამარყანდში გადაასვენეს. ხმები დადიოდა, სტალინს იმედი ჰქონდა, რომ ეს ომში გარდატეხის შეტანაში დაეხმარებოდა. არც შემცდარა — სტალინგრადის ბრძოლა პაულიუსის არმიის განადგურებით დასრულდა. ზუსტად მაშინ თემურ-ლენგის ახალი განსასვენებლის — გურ-ემირის მავზოლეუმის სარესტავრაციოდ მოსკოვმა... ერთი მილიონი მანეთი გამოყო. ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული, ყოველ კაპიკს ოქროს ფასი ედო, მაგრამ სტალინმა იცოდა, რასაც აკეთებდა — ომში გარდატეხვისთვის ასე გადაუხადა მადლობა თემურ-ლენგს.



თემურ-ლენგი



გურ-ემირის მავზოლეუმი

მოამზადა
**კოტე სარალიძემ**

№ 189. სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 2007 წელი.

◉ ანეკდოტები

მიხო კომპიუტერთან ზის.

— დამითმე რა ადგილი, მეც ვითამაშებ, — ეუბნება ცოლი.

— ქალო, სინდისი იქონიე. მე ასე ვიქცევი? შენთვის ოდესმე მითხოვია ცოცხი ან ჩვარი დამითმე-მეთქი.



* * *

მიხოს ერთი ტიპი აეტორღიალა და საშველს არ აძლევს. გამწარდა მიხო:

— აი, იმ კაცს ხედავ? — ეუბნება. იგი პასიური ჰომოსექსუალისტია. ჰოდა, თუ არ დამეხსნები, ისეთ რაღაცას გაგიკეთებ, მას შენი შეშურდება.

* * *

ეხლა კი ვხვდები, რატომ აქვს მაკარონს ნახვრეტი: თუ სასულეში გადაქცდა, რომ არდაიხრჩო.

* * *

დინოზავრები იქნებ იმიტომ გადაშენდნენ, რომ ძალიან ბევრი პიდოზავრი გაჩნდა.

* * *

— ამბობენ, რომ აბრამს ყველა ვალი გაუსტუმრებია და მშვიდად მომკვდარა.

— არაფერიც! ყველა ვალი რომ გაისტუმრა, იმიტომაც არ მოუნდა სიცოცხლე.

* * *

მამაკაცებს ლამაზ ქალებთან გარყვნილი ურთიერთობები სურთ. ქალებს კი პირიქით — გარყვნილ მამაკაცებთან ლამაზი ურთიერთობა უნდათ.

◉ ინფორმაცია

## ხანძარი ბაგებში

**გუშინ ბაგებში სტუდქალაქთან ახლოს ტყის მასივი იწვოდა. როგორც საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურიდან იტყობინებიან, იწვოდა 1000 კვადრატული მეტრის ფართობი.**

შეტყობინება ხანძრის შესახებ საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურში, დაახლოებით, 12 საათისთვის შევიდა.

ხანძარი კი ჩააქრეს, მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზები ჯერ უცნობია.

## აქციის მონაწილე საავადმყოფოში გარდაიცვალა

**ცნობილი გახდა, რომ დემურ ჭავჭანიძე, რომელიც საქართველოს პარლამენტთან 28 სექტემბერს გამართული აქციის დროს საავადმყოფოში გადაიყვანეს, გარდაიცვალა.**

გარდაცვლილის ოჯახის წევრების ინფორმაციით, დემურ ჭავჭანიძე საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში დაიღუპა. ოჯახში მისი ცხედარი იმავე დღეს, გვიან ღამით, პროზექტურიდან გადაასვენეს.

მათივე ცნობით, ჭავჭანიძის გარდაცვალების მიზეზი მომატებული არტერიული წნევით გამოწვეული ინსულტი გახდა.

## ტერმინალი „ოპიზა“ დალუქეს

**გუშინ სამართლადამცავებმა საბაჟო ტერმინალი „ოპიზა“ დალუქეს.**

შესაბამის უწყებებს ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით ჯერ ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ.

შეგახსენებთ, რომ საბაჟო ტერმინალ „ოპიზას“ ირგვლივ ატეხილი სკანდალის გამო ყოფილმა დეპუტატმა კობა ბექაურმა პარლამენტი დატოვა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“ ტელ: 95-11-92

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები

შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 12. ტ: 98-65-87; 899 53-76-16.

შპს „თანადგომა -1“ დავით აღმაშენებლის 150. 899 79-76-79

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 899 36-00-35; 899 53-76-16; 899 17-21-21.

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.